№ 1 პარასკევი, 1 იანვარი 1910 წ. № 1

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ერთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბრუნდებ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

„დროების" დღევანდელ ნომერში ექვსი გვერდია. ქალაქელ წლიურ ხელის-მომწერთ ურიგდებათ კალენდარი, ქალაქ გარედ კალენდარი შემდეგ ნომრიან გაეგზავნება.

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, რაგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სეფე შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან,

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

**ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მის მეუღლის

### ვლადიმირ ბექანის ძის ლორთქ. ფანიძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

„დროების" რედაქცია, მეგობრები და ამხანაგები აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

### ვლადიმირ ბექანის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

**მაია კომახიძისა თავართქილაძის ასული** შვილებითურთ, **ესე და მათა თავართქილაძენი** და თავადი **ვახტანგ დავითის ძე გურიელი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას. პირველი—დაუვიწყარ მეუღლის, მეორენი—საყვარელ სიძის და მესამე ძვირფას მეგობრის

### ბედი ბექანის ძე კომახიძისას.

დაკრძალვა მოხდება სად. სუფსაში (ოზურგ. მაზ.) კვირას, 3 იანვარს, ადგ. ლომბრივ ეკლესიის სასაფლაოზე. (1—804—1)

## სამუსიკო სკოლა

**ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა.**

პირველ იანვრიდან 1910 წლ. განხლდება მოწაფეების მიღება შემდეგ სპეციალურ მუსიკალურ კლასებში: ფორტეპიანო, სკრიპკა, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ელემენტარული თეორია, ნოტების კითხვა, (solfegio) მუსიკ. ენციკლოპედია და ხორის კლასში. ხმების გავარჯიშებისათვის, სიმღერის მასწავლებლად (solo) მოწვეულია, რუსულ ოპერის არტისტი **ნ. დ. კოვალენსკი.** გადასახადი ფასი მეორე ნახევარი წლისათვის, სიმღერა (solo) ეღირება 37 მ. და 50 კ. დანარჩენ სპეციალურ ინსტრუმენტებზე კი—30 მანეთი. მოწაფეთა მიღება და ხმების გამოცდა მათთვის, ვისაცა სურთ მონაწილეობის მიღება ქალთა და ვაჟთა გუნდში, დანიშნულია ყოველ დღე, კვირა-უქმეობითაც, დილის 10 ს.ვიდრე 2-მდე და ნაშუადღევს 4—7 საათზე.

**სწავლა დაიწყება 7 იანვარს**

ადრესი: სპიონის ქუჩა ყდენტის სახლი N 1. (5—1)

წარმოდგენა № 24. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 24.

შაბათს, 2 იანვარს, 1910 წელს.

**ქართული თეატრის 54 წლის არსებობის აღსანიშნავად**

ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ **მომღერალ არტისტ ივ. სარაჯიშვილის და ა. ადამიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

**შ. დადიანისა.**

### როს ნადიმობდნენ

წარმოდგენა ფანტაზია 1 მოქმედებად.

**ივ. გომართელისა.**

### ექიმთან

კომ. 1 მოქმედებად.

### კონცერტული განყოფილება

**ივ. სარაჯიშვილის, ა. ადამიძის და ვასო ყრუშაძის მონაწილეობით.**

პიესებში მონაწილეობენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შიუკაშვილი; ბ-ნნი გ. გედევანოვი, გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ქეიძე, შ. საფაროვი, ვ. ყრუშაძე.

### ●● ა პ ო თ ე ო ზ ი ●●

ქართული თეატრის დამაარსებელთა პატივისცემა

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ სალამოს 8 საათზედ.**

**მორიგი რეჟისორი კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ყრუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.



დღეს, 1 იანვარს, 1910 წელს ორი სადღესასწაულო წარმოდგენა. **დღისით დაკლებულის ფასებით.** დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. პროგრამმა შედგენილია განსაკუთრებით ბავშვთათვის. მონაწილეობას იღებენ ყველა კლოუნები და ქ-ნი რუტსი თავის გაწვრთნილ ძაღლებით და ცხენებით. დასასრულ წარმოდგენილ იქნება ვოდევილი **„დარაჯი და დათვი"**. საღამოს წარმოდგენა დაიწყება 8½ საათზედ, მონაწილეობას მიიღებენ ევროპაში ცნობილი კლოუნები გრანდიოზული პროგრამმა. ატრ აკციონური ნომრები **ძმ. კასტაიდების კაცი—მაიმუნი მისტ რ კრასტ ან ტრუტპ ლეონს.** დასასრულ **„ქურდა და დარაჯი"**. დაწვრილ ბით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ხ.—10) გამგე **გამსახურდია.**

**„დროების" რედაქციაში**

## მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზედ

**„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოც. მხრით".**

**შინაარსი წიგნისა:**

**წინასიტყვაობა:** „ერთვნული საკითხი" და სოციალიზმი.
**თავი პირველი:** რა არის საზოგადოება?
**თავი მეორე:** არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?
**თავი მესამე:** ერი და საზოგადოება.
**თავი მეოთხე:** საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეხუთე:** ხალხი, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეექვსე:** ერი.
**თავი მეშვიდე:** ურთიერთობა, ადამიანი და კაცობრიობა.
**თავი მერვე:** სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
**თავი მეცხრე:** ერის უფლება.
**თავი მეათე:** შედარებითი ღირსება ერთა.
**თავი მეთერთმეტე:** „ფონდი" კაცობრიობისა, შესაძლებელი მომავალი.
**თავი მეთორმეტე:** განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კონკრეტული საზოგადოებანი.
**თავი მეცამეტე:** ერის თეორიები.
**თავი მეთოთხმეტე:** ქართველი ერი.
**თავი მეთხუთმეტე:** დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.

ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურთან, **ოდესაში**—არჩ. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ჟღენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმერეთი" ის. კვიცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების" კანტორაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ავალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.

ხელის მოწერა მიიღება 1 **თებერვლამდე** (უკანასკნელი ვადა)

აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწერთა წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი.** გასაყიდად ექვსი აბაზი.

(4—300—2) გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ხ.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და ბებიობა ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—75)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაკიძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—237)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**— ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ნერვებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ახპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსერმანის შრატით. (00—ნ.—133)

**ექიმი გ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჰუჯაზასიძისა. (100—ხალ.—66)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ვ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—333)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—83)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—1366)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—139)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისსა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ხალ.—99)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—25)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მეხანჯეში, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—7

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—73)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ., და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**მ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ქიმიაბა, მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. მეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესადგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—95)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ხალ.—85)

**ექიმი კაკიტელაშვილი**

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—16)

## ახალი კლუბის

საბჭო ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს და აგრეთვე კლუბის წევრებად ჩაწერის მსურველებს, რომ საწევრო ფულის მიღება და ახალის წევრების ჩაწერა სწარმოებს კლუბის კანცელარიის დროებით სადგომში (სათავად-აზნაურო ქარვასლა, სასახლის ქუჩა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 30 დეკემბრიდან 1910 წ. 10 იანვრამდე ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოთი 6-დან 8 ს.-მდე. (3—ნ.—3)

4 იანვრიდგან გამოვა ტფილისში ორშაბათობით ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ხ ა ლ ხ ი"

ფასი 5 კ. გაზეთის გამყიდველებს შეუძლიანთ გაზეთი იყიდონ „სორაპ ნის" სტამბაში კვირა საღამოს.

რედაქტორ-გამომცემელი **შ. საფაროვი.** (3—2)

◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრების განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, საპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საიპოთეკო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—20)

## ქ. ქუთაისში

**მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე.**

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იმანიძის სახლში (ვაგზალთან).

10—კვ.—4

◀ **სახალხო უნივერსიტეტი** ▶

სახალხო სახლი ზუბალაშვილისა კვირას, 3-ს იანვარს **ხიდოროვი** წაიკითხავს **ლექციას**

## კოლცოვზე

ლექციის შემდეგ სიმღერა და დეკლამაცია. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვილიამსის, კოშელევა; ბ-ნნი ხარმატოვი, ნარდვი, ბუნიმოვიჩი, გაგვი.

დასაწყისი დილის 11 საათზე.

**ადგილების ფასი 5 კ-დან 10 კ-მდე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 12—2 ს. და 6—8 საათამდე. (2—1)

# ტფილისი, 1 იანვარი

კიდევ ერთი წელიწადი მივაბარეთ საუკუნეთ,—წელიწადი მძიმე, უნუგეშო და უფერული. როგორც წინა წელიწადს, მასაც არაფერი მოუტანია ჩვენის მრავალტანჯულ ქვეყნისათვის, ხალხი ისევ დაქსაქსულია, დამშეული. რეაქცია პოლიტიკური, რეაქცია საზოგადოებრივი, ცხოვრების მაჯა მისუსტებული...

ცხოვრება შეჩერდა იმ წერტილზე, სადაც მას სასტიკმა კონტრ-რევოლიუციამ მოუსწრო. პირველ წუთებში აქა-იქ კანტი-კუნტად გაისმა ხმა კულტურულ მუშაობაზე, რომელსაც პოლიტიკურ ბრძოლის ადგილი უნდა დაეჭირა, რომელსაც უნდა განეგრძო ხალხის მზადება, ხალხის დარაზმვა, ხალხის თვითცნობიერების გაწრთვნა. კულტურული მუშაობა ახალ ლოზუნგად მოევლინა ქვეყანას, რომლისაგანაც თუ ხსნას არა, დიდმნიშვნელოვან შედეგს მაინც მოელოდნენ. მაგრამ, აწ განსვენებულ წლებმა—1908 და 1909 —მ— გვიჩვენეს უტყუარად, რომ ამ მხრითაც უნდა უკუვაგდოთ დიდი იმედები, რომ ინტენსიური და ნაყოფიერი კულტურული მუშაობა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ამას გარეგანი პოლიტიკური პირობები უწყობენ ხელს. ხოლო იქ, სადაც მოქალაქობრივი ცხოვრება მოსპობილია და სამხედრო დიქტატურა მეფობს, კულტურულ მუშაობაზე ლაპარაკი თითქმის უბრალო წყლისნაყვაა. რასაკვირველია, ამით ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ყოველივე მუშაობა უნდა მოისპოთ და შევაჩეროთ; ჩვენ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა გვინდა, —იმ ფაქტისა, რომ გადაჭარბებული იმედები კულტურულ მუშაობაზე იმდენადვე უნიადაგო გამოდგა, რამდენადაც იმედები რევოლიუციის სწრაფ და სრულს გამარჯვებაზე...

ჩვენი სოფელი ძველ რეჟიმის დროს სრულებით გაველურდა, ბოლო წლების სუსხიანმა რეაქციამ კიდევ უფრო დასცა და დააბეჩავა იგი. მისი გამობრუნება, ხალხის სულიერ და ქონებრივ მდგომარეობის ცოტაოდენი გაუმჯობესება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ელემენტარული მოქალაქობრივი წესწყობილება იქნება დამყარებული, როცა თვითნებობისა და დარბევის რეჟიმის ადგილს საზოგადოებრივ ძალთა რაიმე ორგანიზაცია დაიჭერს. 1907 წლის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში თვით კავკასიის ნამესტნიკი სწერს, რომ ამიერ-კავკასიის სოფელი უკიდურეს კრიზისშია და რომ მისი კულტურული წინსვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა თვით-მმართველობის დაწესებულებებს მივაშველებთო. მას აქეთ სამი წელიწადი გადის და ყოველ წელს დარბევის რეჟიმი უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენს სოფელში.

მართალია, გასულ წელს ბევრი ლაპარაკი იყო ჩვენში ერობის შემოღებაზე. მთელი ზაფხული ამ რეფორმის სამზადისში გავიდა. მაგრამ ასეთი ლაპარაკი და მზადება ამ სამი-ოთხი წლის წინადაც არა ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, ძველი რეჟიმი ისევ სუფევს და ძლიერდება კიდეც. ხოლო თუ გავიხსენებთ ამას წინად გამოქვეყნებულს მთავრობის გეგმას, რომლითაც კავკასიის რეფორმებზე ჯერი, ვინ იცის, როდის მიდგება, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი სოფლის ტანჯვას ბოლო არ უჩანს.

უუფლებობის გარდა, ჩვენ სოფელს ახრჩობს აგრარული დეზორგანიზაცია და ბატონ-ყმობის ძლიერი ნაშთი, რომლის მოსპობას აგრეთვე დიდი ხანია ამაოდ მოველით. იმავე უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კავკასიის ნამესტნიკი სწერს, რომ საქართველოს სოფლის ამ ყოფაში დატოვება დიდი უსამართლობა და უბედურება იქნებაო. მაგრამ გადის მას შემდეგ სამი წელიწადი და არავითარი ნაბიჯი არც გადაუდგამთ ამ უბედურების მოსასპობლად და არც არას აპირებენ. სამაგიეროდ, სწორედ ამ მხრით წლითი წლობით იზრდება უდიდესი საფრთხე, რომელიც განადგურებას უქადის ჩვენს ხალხს და მთელ ჩვენ ერსაც. გადაათვალიერეთ წარსულ წლის ქართული გაზეთები და თითქმის ერთ ნომერსაც ვერ იპოვით, სადაც ცნობა არ იყოს ჩვენი ხალხის ტერიტორიის უსისხლოდ დაპყრობაზე, ჩვენის ხალხისთვის ლუკმა-პურის გამოგლეჯაზე. აგრარულ რეფორმის მაგიერ, ადგილობრივ ხალხის მიწათმფლობელობის მოწესრიგება-გაფართოების მაგიერ, ვხედავთ სისტემატიურს მუშაობას აგრარულ დეზორგანიზაციის გართულებისა და მკვიდრთა უზომოთ შევიწროებისათვის, თითქო ამ მხრითაც განზრახ საგნად არის დასახული ჩვენი ხალხის უფრო მეტი გავერანება და გაბოროტება...

ჩვენი ცხოვრების სხვა სფერაშიაც ამავე სურათის მოწმენი ვიყავით გასულ წელს. გავიხსენოთ, მაგალითად, რომ ეროვნულ ეკლესიასა და სკოლის დევნა-შევიწროება არათუ არ შეწყვეტილა, გაძლიერდა კიდეც. ტფილისში დახურეს ერთადერთი „საბავშო ბაღი“ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველ ბავშვებს ქართულად ესაუბრებოდნენ. ეკკლესის აფორიოქებაზე არას ვიტყვით: ყველას ღრმად გვაქვს აღბეჭდილი ეს უსამართლობა მეხსიერებაში.

რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ალხის ინტელიგენციასა და შეგნებულ საზოგადოებას დიდი მხნეობა მართებთ. დიდი და ენერგიული მუშაობა ერის ვინაობისა და უფლებების დასაცველად. მისმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა უნდა გააორკეცონ მოღვაწეობა, უნდა განავითარონ უმაღლეს წერტილამდე ბრძოლა გამანადგურებელ პირობათა წინააღმდეგ. რევოლიუციის შემდეგ ხანაში—ამ ორი წლის წინად—თითქო ნიშნებიც იყო ასეთ ინტენსიურ საეროვნო-საკულტურო მუშაობის დაწყებისა: ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტები, გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი, გაჩნდნენ ახალი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, შეიქნა ლაპარაკი კოოპერატიულ მოძრაობის გაჩაღების შესახებ და სხვა; მაგრამ ყოველივე ეს რაღაც ფუქსავატი და ზერელე მოძრაობა გამოდგა და სანუგეშო ფაქტები ამ მხრით ვერც ახლად და სრულებულმა წელიწადმა მოგვცა. უეჭველია, უმთავრესი მიზეზი ჩვენის ასეთის უღონობისა ისევ გარეშე პოლიტიკურ პირობების სიდუხჭირეში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ჩვენ საკუთარ ზნეობრივ და გონებრივ სისუსტესაც უნდა ვაკუთვნოთ უდიდესი როლი. ამ სისუსტის ნიმუშები ბევრი გვიჩვენა განვლილმა წელმა და ახლად დაწყებულიც ბევრს გვიჩვენებს, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ...

---

ახლად დასრულებულ წლისდასაწყისს ოქტომბრისტების ოფიციოზმა „გოლოს მოსკვი“-მ ამნაირად დაახასიათა რუსეთის აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა: „სახელმწიფო მანქანა მოიშალა და შეჩერდა... რუსეთი 1905-906 წლებიდან ერთსა და იმავე ალაგას სდგას და მალე მისი ცხოვრება პირქვე დაეშვება, ჩავარდება ან ისევ რევოლიუციამდე ან კიდევ რაიმე უარესობამდეო“. ხანდისხან ოქტომბრისტებიც მართალს ამბობენ და აღნიშნული შარშანდელი საახალწლო მიგებება სწორედ მშვენიერად ახასიათებს რუსეთის ცხოვრებას ამ ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში.

ორი წელიწადია მთავრობამ სრული „მშვიდობიანობა და წესიერება“ აღადგინა, მორჩილი პარლამენტი გაიჩინა, მრავალი ახი კანონი გამოაცხო და, მიუხედავად ამისა, „მანქანა მოშლილია, ცხოვრება შეჩერებულია ერთსა და იმავე ალაგას“: რუსეთი ისევ სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, მოქალაქობრივი ცხოვრება შეწყვეტილია, დაპირებული თავისუფლებანი არსადა სჩანს და ხალხი უკიდურეს კრიზისს განიცდის. ამ ორი წლის ცხოვრების მემატიანეს შეუძლიან აღნიშნოს ისევ ძველებური დამშეკა რუსის ხალხისა, ხოლერა, უმუშევრობა, უკიდურესი კულტურული ჩამორჩენა, პატრიოტული გაველურება, სარწმუნოებრივი ფანატიზმი და სხვა ამგვარი საუნჯე ძველის რეჟიმისა. არც ერთი ნაბიჯი არ არის გადადგმული ცხოვრების იმ განახლებისაკენ, რომლის აუცილებელი საჭიროება თვით მთავრობის მიერაც იყო აღიარებული ამ ოთხი წლის წინად და ურომლისოდაც რუსეთის სახელმწიფოს აუცილებელი დაშლა მოელის...

ორი წელიწადია მუშაობს მესამე სათათბირო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არა თუ არ გადაწყვეტილა არც ერთი ძირითადი საკითხი, ერთი საკეთილდღეო კანონიც კი არ გამოცემულა! გასულ წელს დაამთავრეს აგრარულ კანონის განხილვა, მაგრამ 9 ნოემბრის კანონი არა თუ არა სწყვეტს რუსეთისთვის მეტად ძნელ აგრარულ პრობლემას, კიდევ უფრო აძნელებს და ართულებს. შეიმუშავეს პირველი საკონსტიტუციო გარანტიის კანონი—პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ,—მაგრამ ეს კანონი დააკანონებს მხოლოდ ძველის რეჟიმის ადმინისტრატიულს უზომო თვითნებობას. შეადგინეს ადგილობრივ სასამართლოს რეორგანიზაციის პროექტი, მაგრამ იგი ბევრად ჩამოუვარდება 1864 წელს დასახულს სასამართლო რეფორმას. სხვა, უფრო წვრიმალ, კანონ პროექტებზე არას ვიტყვით: ისინიც იმდენად მოასწავებენ განახლების ხანის დაწყებას, რამდენადაც, მაგალითად, ძველის დროის ადმინისტრატორების მაგივრად ტოლმაჩოვებისა და დუმბაძეების გაადმინისტრატორება მოასწავებს საკონსტიტუციო ხანის გამეფებას... მხოლოდ ერთ წუთს გასულ წლის განმავლობაში დაიბადა ილლიუზია განახლებისათვის მუშაობის დაწყებისა. ესიყო სარწმუნოებრივ თავისუფლების კანონ-პროექტთა შემუშავების დაწყება. მაგრამ იმავე წუთს ახმაურდა შავრაზმელობა და მესამე სათათბიროც იმ წამსვე დაფრთხა და შეჩერდა...

უნაყოფო და უფერული იყო სათათბიროს გასულ წლის მუშაობა და საკვირველი არ არის, რომ იმისი იმედი რუსეთის ერს ზომიერ ელემენტებსაც კი დაეკარგათ. ხოლო სანამ სათათბირო ასე უნუგეშოთ თვალთმაქცობს ერთ ადგილზე, პარლამენტს გარეშე, ძლიერებს რეაქციას და უფრო და უფრო უჭერს მუხრუჭს რუსეთის მრავალტანჯულ ერებს. თვით რუსეთი, პოლონეთი, კავკასია ხომ კარგა ხანია შებოჭეს, ახლა განკითხვის დღე ფინლიანდიას დაუდგა...

ასეთ უნუგეშო სურათის გათვალისწინება, გასაკვირველი არ არის, რომ ოქტომბრისტებსაც უშფოთავს სულსა და გულს. მათთვისაც-კი ცხადია, რომ რუსეთის დღევანდელი გამგე-მესვეურნი თან და თან შორდებიან 17 ოქტომბრის მანიფესტს და ისეთის სიჩქარით მიერეკებიან ქვეყანას მარჯვნით, რომ მართლა მალე მოსალოდნელია ის კატასტროფა, რომელიც შარშან, ახალწლის წინად, იწინასწარმეტყველა „გოლოს-მოსკვიმ“.

---

## დღე-[illegible]

### ზღაპარი

- ბევრისგან გამიგონია საყვედური „პატარა ამბების“ შეწყვეტის გამო. ვინ რა არ დაასახელა მიზეზად, ხოლო არავინა სთქვა, რომ არის ჟამი, როცა დუმილი აუცილებელია, უნებური, სტიქიური.

წერა ცხოვრებაა და „პატარა ამბებს“ რომ ვწერდი, მთელი ჩემი არსება გადადიოდა დაწერილში. ვწერდი, რაც მძაგდა ან მრწამდა, ვეალერსებოდი, რაც მიყვარდა, შევხაროდი, ოსანას ვუგალობდი, რისი მოახლოვება ხილული იყო ჩემთვის, რისი ფრთების შეხება ძლიერებით მოსავდა სხეულს, რისი სუნთქვა უკვდავ ქმნიდა სულს..

ვამბობდით: კურთხეულ არს მოსვლა ახალისა ცხოვრებისა!

ეს ახალი არ იყო უკვე სასურველი სურვილი იყო, არა ცხრა მთას იქით გადაკარგული, არა ქვესკნელს თუ ზესკნელს დამარხული, არამედ ხორც შესხმული სინამდვილე, ოცნება განამდვილებული. თვით მოვუწოდეთ მას და წარმოდგა იგი, ვით ზღაპარში, განსპეტაკებული, გამშვენიერებული, ბედნიერების სხვითა მაშუქებელი. იყო ოცნება ჩვენი, სინამდვილე ოცნების წარმოშობილი.

და ყოველივე ეს უცბად გაჰქრა, დაიმსხვრა და დაგვტოვა ზღვის პირად უიმედონი, უსასონი. ზღვაზე აღარ იდგა ნავი აფრა აშვებული და ქალი, ღიმილითა სიტკბოების მფრქვეველი, აღარ მოგვიწვევდა თავისკენ. მას ნაცვლად

ჯერაც ვერ ძლეული
ნავარდობს წყეული
სატანა, წყვდიადით
გარ-შემოხვეული!..

სად არის ის ნამდვილქმნილი ოცნება, რომელსაც შევეხეთ? და განა სინამდვილეა ის, რაც არის, თუ ოცნებაა სატანის. ეს დღევანდელი და სინამდვილე იყო მხოლოდ ის—ყოფილი და აწ გარდასული?

უნდა შევურიგდეთ, რაც არის და უნდა დავივიწყოთ, რაც იყო? ყოველივე ისე გადაბრუნდა, შეირყა, ერთიან შეიცვალა, ისე აღავსო მთელი არსება დაუშრეტელი ნაღველით, დაულეველი სევდით, უსაზომო მწუხარებით, რომ უნებურად დაბადა გამოუთქმელი მწარე ფიქრები, ფიქრები და დუმილი, რომელიც ერთად ერთია ნაწამებ გულის მეტყველი.

---

# „ცოცხალი სინემატოგრაფი“

შესანიშნავი ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენ მკითხველებს ახალ წლის პირველ დღეს: ტფილისში ჩამოვიდა გამოჩენილი მეცნიერი ედისონი, რომელმაც გამოიგონა ტელეფონი, გრამოფონი და მრავალი სხვა რამე. ედისონს ეხლა გამოუგონია და ტფილისში ჩამოუტანია „ცოცხალი სინემატოგრაფი“ ანუ, უბრალოდ რომ ვსთქვათ, ცოცხალი პროჟექტორი. საუცხოვო რამ არის, აუარებელ ცოცხალ სურათებს აჩვენებს ედისონი ამ სინემატოგრაფში. ადამიანები გამოდიან და ლაპარაკობენ. ზოგიერთი სურათი აქ მოგვყავს, მაგრამ დაბეჯითებით ვურჩევთ მკითხველთ, თითონ წავიდნენ და ნახონ. ამასთან ქართველებს მუქთად აჩვენებენ ამ სურათებს, რადგან თითქმის სულ ქართველთა ცხოვრებას შეეხება.

ჩვენ ბედნიერება გვქონდა, თითონ ედისონთანაც გველაპარაკა. აღტაცებულია ქართველებით: თქვენისთანა ალტრუისტი და კაცთ მოყვარე ხალხი დედამიწაზე არ მინახავს. ყველაფერს, საკუთარ სამშობლოსაც-კი, სხვას უთმობთო. გამეხარდა, რომ ასეთი კაი აზრისაა ჩვენზე გამოჩენილი ადამიანი.

„ცოცხალი სინემატოგრაფი“ მოთავსებულია მიხეილის პროსპექტზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და მუშტაიდის პირდაპირ, იქ, სადაც მეთვრამეტე საუკუნეში ირაკლი მეფის ელჩის თავ. გარსევან ჭავჭავაძის კალო იყო.

**მ ღ ვ დ ე ლ ი**

(ძველი ანაფორა ახხია. ცალ ფეხზე ჩუსტი აცვია, მეორეზე—წაღა).

ახ, კოდის პური, ახ, კოდის პური!
დროება წახდა, გამოიცვალა;
აწ ვიმყოფები იობის დღეში,
არცა ვინ მრევლში გარდაიცვალა.
აღარც ტაბლაა, აღარც ზვარაკი,
ხალხი გაურბის ეკლესიასა;
ოღონდ გამიძღეთ დიდი მუცელი,
უარვყოფ ავტო-კეფალიასა.

**ინტელიგენტი**

(გახუნებული პალტო აცვია და ხელში ორი დიპლომი უჭირავს).

ვაი, რაღა ვქნა, რა მეშველება,
მაქვს აღებული ორი დიპლომი:
მაგრამ სამსახურს ვერსად ვშოულობ,
თუმც ბევრგან მქონდა ჩხუბი და ომი.
ახ, რომ შემომხვდეს ვინმე მდიდარი
და თავის ქალსა მომათხოვებდეს—
მაშინ ჰნახავდით, რომ ჩემსა ბედსა
ყველა მნახველი შემონ ტრობდეს.
რაღა სამშობლო, ან რის მამული
ვიზრუნოთ, გვქონდეს კუჭი ავსილი;
ახ, რა კარგია თბილი ადგილი,
მაგრამ არ არის არსად დაცლილი!

**მასწავლებელი**

(ხელში კალენდარი უჭირავს და „ოცს“ რიცხვებს ათვალიერებს)

ახლა სხვა დროა, მუდამ ოცს ველი,
რის პესტალოცი, რის ჟანჟაკ რუსო?
ისა სჯობია ჯამაგირისთვის,
რომ მოწაფენი გადავარუსო!

**ქ ა ლ ი**

(თავზედ ლეჩაქის მაგიერ გოდორი ჰხურავს. იგრიხება და გამვლელ გამომვლელს ეწონება. სხაპა-სხუპით ლაპარაკობს და უცხო ენას ურევს).

ვინც დღეს ცოტას ლაპარაკობს,
ის მართლაც რომ დიაცია;
ვიჩხუბოთ და მოვიპოვოთ
ძალით ემანსიპაცია.
მხოლოდ შვილებს ჩვენ ნუ გავზრდით,
ჩვენი საქმე სულ სხვა არი:
პაპიროზის ბოლთა დავკრათ,
საქმე არის ზენაარი

**მ ს ა ხ ი ო ბ ი**

(ვერ გაიგებთ—სიმშილით თუ სიმთვრალით ბარბაცებს)

ბევრსა ვყვირი და ვღრიალებ,
თვით სცენასაც ვაზანზარებ;
ხან ვითვრები, ხან ვთამაშობ,
სარდაფებში დღეს ვალამებ;
მაგრამ, რა ვქნათ, ჩვენს თეატრში
ხალხი სულ არ იარება,
დრამატურგის ბრალიც არის—
ახალი არ იბადება!

**მ გ ო ს ა ნ ი.**

(გაბურძგნილი გაივლის. უკან ქალები მისდევენ და კალთებს აგლეჯავენ. მაღლა იწევს ჰსურს ნაპოლეონის პოზა მიიღოს. დაბლყერილი თავს არავის უყადრებს),

მოშაირე მე ერთს მქვიან,
ვარ გოეთეს თანასწორი;
მუდამ ვიტყვი, ზე კაცი ვარ,
არ გეგონოთ ჩემგან ჭორი!
ვუცქერ და ჩემიცა სჯობს,
ჰხამს მელექსე მუსიკობდეს;
ათი უჯდეს საყვარლადა
და ორმოცსა აშიკობდეს.
მაგრამ უფრო იმას ვაქებ,
ვინც ლოთია—ღვინის მსმელი;
სმა ყანწით მას გამოსცდის,
ვითა ცხენსა შარა გრძელი.

**სათავად-აზნაურო კომისია.**

(მხართეძოზე წამოწოლილა და ჭერში ბუზებსა სთვლის).

ერთი... ორი... ესეც სამი...
და მეოთხე გაფრენილა!
ჯამაგირებს ბლომად ვიღებთ,
კარგად ვჭამთ და კიდეც გვძინავს.
ხვალე საქმეს შევუდგებით,
ხაჭაპურებს შევექცევით.
ცოტა თუნდაც გადმოსახლდნენ,
გულით წმინდით დავუხვდებით!

**დრამატიული საზოგადოება.**

(ლოგინში წევს და გოთუა ნანას უმღერს).

დაიძინე, ჩემო კარგო,
გაქვს ტკბილი ბინადა,
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო.
კარგად იცი, საქმე არ გვაქვს,
ბატონი არ გვყავსო;
მაშ რისთვის გაირჯები,
აიტკივებ თავსო?

**სახალხო უნივერსიტეტი.**

(ფახი-ფუხობს).

„მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა;“
თქვენც კარგად იცით არა ვარ
გამკეთებელი საქმისა.
ვყვირი და მუდამ ვღრიალებ,
ყურებს ვუჭედავ ყველასა;
ათი შაური მიბოძეთ,
თქვენგან მოველი შველასა.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

(მშვენიერი დარია. ბალი და ალუბალი ახლად ყვავის. ხალხი დასეირნობს ქუჩებში. ზურგზე ჭორის გუდები ჰკიდიათ. პირ-იქით დასცინიან, პირ-აქეთ ერთმანეთს აქებენ).

„იმან ეს სთქვა... ამან ეს სთქვა...
ეს ის არი... ეს ეს არი.“
ის კოჭლია... ეს მახინჯი...
გავასწოროთ მთა და ბარი.

**რედაქტორები.**

(მობუზულები გამოდიან)

გვცივა და გვშიან,
თან გვეშინიან,
თანამშრომელნიც
შემოგვტირიან!
ლექსები მოგვდის
და ფული არა,
უცენზურობამ,
დღე გაგვიმწარა!

**ვ. გუნია.**

(ქუთაისელები მოიტაცებენ. ჯერ აღმერთებენ, მაგრამ შემდეგ კი შესძულდებათ)

არ გავცვლი მე ჩემს ტფილისსა
სხვა სცენის სამოთხეშია;
იქ მირჩევნია შიმშილი,
სად ბევრჯელ დამიკვნესია

**გრ. რობაქიძე.**

სული მიწუხს... გრძნობა ღელავს,
ხანდრა მკლავს და ვლონდები;
რა ხალხია, ღმერთო ჩემო!
არც სატრფოს ვაგონდები!

**ვლ. დ—შვილი.**

(მუშები გარშემორტყმიან, მაგრამ ვერაფერს ეუბნება)

რა კარგია ბლომად ფული,
გამოვცემდი გაზეთსა...

**განდეგილი.**

კორექტორად ვიქნებოდი,
გარს მოვფენდით ნათელსა!

**ი. გომართელი.**

(საექიმო კაბინეტშია. ხელში რუსეთის ჩონჩხი უჭირავს და დაკვირვებით მიკროსკოპით სინჯავს)

ფუ, საზიზღარი მართლა ყოფილა!
ჰყარს უვარგისი... მე კი ვცდებოდი
ახ როდის აღდგეს ჩვენი სამშობლო,
ამდენხანს რისთვის ვიჩაგრებოდი?!

**შ. არაგვისპირელი.**

სჯობს გავჩუმდე... მეტერლინკიც
სიჩუმითა იდიდების ..
?? !!!!!!?!!!!!..... .................

**ბ. ახოსპირელი, ა. შანშიაშვილი და სხვა ახალგაზრდა პოეტები.**

(ტრიოსა მღერიან)

ათასად ღვინო დაფასდა,
ათი ათასად ღრეობა;
თუ კი ბახუსი არ გვწყალობს,
არ არის ჩვენთვის დღეობა.

(სხვა მგოსნებიც გამოეხმაურებიან და მათ სიმღერას აჰყვებიან)

**სტუდენტები.**

(კოპწია ტანისამოსში გამოწყობილან)

სმა, ჭამა დიდად შესარგი,
კუჭისთვის სავარგილია;
რასაცა შესჭამ შენია,
რაც არა—დაკარგულია!

**ი. გრიშაშვილი.**

(რომანსებს მღერის)

ამომძვრა სული,
მიყვარს ასული;
დავლიე დღენი,
ჭირიმე შენი!

**გვაზავა.**

(გარშემო აუარებელი ქალები ახვევია. ყველას სიყვარულს ეფიცება)

შენმა ტუჩმა და კარსეტმა
გული, ტვინი გამიჩენჩა;
არც შენ გაგცვლი, შენც მიყვარხარ...
შენცა... შენცა... შენცა... შენცა...
მოდით გითხრათ აი რა,
ხელთ აიღე დაირა;
ჰერი, ჰერი, ჰერია,
მარი ჩვენი მტერია!

(ვალსსა თამაშობს და ტრიალებს თან)

**ლ. მეტრეველი.**

(თეატრის კარებს მიყრდნობია და მარტო გულმოკლული მღერის).

„მე მიყვარდი და შენ თურმე
დასანახვად გეჯავრები;
თუ ასეა მე წავალ შორს,
გაგშორდები, გაგეცლები.“

**ე შ მ ა კ ი.**

(მუშტებს იქნევს).

ვღეჭე, ვღეჭე, ვერ დავღეჭე,
ისევ იმას ვიცოხნები!
კალამი რომ აღარ მიჭრის,
ახლა მუშტით ვიომები!

**მ დ ი დ ა რ ი.**

ცოტა ქართველს,—ბევრი სხვას;
ვინც რა უნდა ისა სთქვას!

**თ ა ვ ა დ ი.**

(ხელში აფიშა უჭირავს. ქამელეონის ტყავი აცვია. თავზე მასხარის ქუდი ჰხურავს. დაუკარგავს ყოველივე მამა-პაპური სიდარბაისლე)

აბა, ვის უნდა, მაქვს საწვრიმალო,
მამულსა ვყიდი და ჩემს სახახლეს;
მე არას ვნაღვლობ, თუ უცხოეთით
გუშინ სხვა ტომი გადმოასახლეს.
მე მსურს ქეიფი, დარდიმანდობა,
ყანწით ვსვამ ღვინოს თქვენ სადღეგრძელოს;
ვსვათ და ვიძახოთ ჰარიჰარალე,
ვერას ვუშველით ჩვენ საქართველოს!
აბა, მამული, კარგი მამული,
ვყიდი იაფად,—არ მენანება;
რასაცა შევჭამთ, ის შეგვერგება,
რასაც არა, ძმებო, დაგვეკარგება!

(გაჰყიდის მამულს. უცბად გადმოსახლდებიან უცხო ქვეყნიდან და საქართველოს სხვანი დაეპატრონებიან. Bâton-ი იერიქონის ტრუბით უყვირით: ნუ დაგვღუპეთ! ტერიტორიას ნუ გვაცლითო, მაგრამ ყურს არ უგდებენ. ისმის კვნესა და გოდება მშრომელ გლეხ-კაცებისა. თავად-აზნაურობა ნადიმს ჰმართავს და როდესაც კახურს გადაჰკრავენ, რიხიანად დამღერენ:)

ოდელია, დელია,
საქართველო ჩვენია!

კედელზედ გამოჩნდება უხილავი ხელი და სწერს: **მენე, თეკელ, ფარეს!** მოქეიფეთ ქვეშიდან ხალიჩა გამოეცლებათ.

**გარდაბნელიშვილი.**

ასეთ დროს რა აქვს ენას სათქმელი და სიტყვის გადმოსაცემი!..

ყველაფერი წაიშალა თითქოს, მაგრამ დავრჩით ძმები, ამხანაგები, მეგობრები—ერთის ჭირით, ერთის გამქრალის იმედით, ერთის სიყვარულით! ერთი ჭირი უფრო აერთებს ადამიანებს, ვიდრე ერთი ლხინი, და ჭირში უფრო კაჟდება და მტკიცდება ადამიანის სულიო. ესღა დაგვრჩა ნუგეშად.

მაგრამ ჩვენი მდგომარეობის ტრაგედია წინ იყო თურმე.

დამარცხებულნი, სასო წართმეულნი რომ დავრჩით—ეს არაფერი კიდევ. სულით დავეცით, გავლატაკდით, დავმონავდით უარესად. სამარცხვინოდ დავგმეთ, განვუდექით, რასაც ისიც იყო, რამდენიმე თვის წინად, მუხლმოდრეკით ვეთაყვანებოდით და მოვუწოდებდით მეუფედ.

აქ იყო ნამდვილი ტრაგედია.

იმ საზიზღარ გათახსირებას, წმინდა წმინდათა მიწნეულ სალოცავებს უარყოფს ამბები, რომლებიც ხდებოდა და ხდება დღესაც ჩვენში, ყოვლად შესაზარი და გულის დამარავია. გაგონილს არ დაიჯერებდი, მაგრამ საკუთარის თვალით და ყურით ხედავ და ისმენ!

ადამიანი, რომელიც ერთობასა და თავისუფლების დროშას აფრიალებდა, ფეხით სთელავს და ზიზღით იხსენიებს გუშინდელს სიყვარულს. ადამიანი, რომელიც ყოველ დღე რამდენსამე წერილს უძღვნიდა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახლა ყოველს გამვლელს თუ გამოვლელს იმას ეფიცება, რომ არასოდეს არა მჭამდა ერთობაო. ადამიანი, რომელიც მთელი დღეობით განუწყვეტლად წმინდა აზრებს ქადაგებდა, ახლა დღე და ღამე იმასღა სცდილობს, რომ ყველა და ყოველივე გასწმინდოს იმ „უწესო“ აზრებისაგან.

წამოყოყოჩდნენ ახალი გმირები და მოღვაწეები ვინც მას ჟამსა შინა ლოგინში იმალებოდა და თავზარდაცემული სტოლის ქვეშ მიძვრებოდა. ვისაც თვით რცხვენოდა თავის სახელისა, დღეს იგი თავმაღლა აწეული პირველკაცობს და საუკეთესო მოღვაწეთა სიაში არის შეტანილი. არარანი წამოსკუპდნენ საპატიო ადგილებზე და ხმა მაღლა, მოურიდებლად ღაღადებენ, რომ ჩვენის, მხოლოდ ჩვენის მეოხებით მოძრაობს და კეთდება ყველაფერიო. გზა გმობილი, მოწონებული გზა შეიქნა, ლაჩრის იარაღი დაბლაგვებული და ჟანგ მოკიდებული ტრიალებს ჰაერში, მასხარას ეჟვნებს გააქვთ ჟღარუნი და მდევთა ძლევამოსილი გვრგვინვა არისო, ბრიყვი ლაპარაკობს და სოლომონ ბრძენს უწოდებენ!..

განა ასეთ დროს შეიძლება ან ტირილი, ან სიცილი? მხოლოდ დუმილი, დუმილი!

—

მაგრამ მაინც ვიტყვი ზღაპარს.

მიდიოდა ქუჩაზე ვინმე თბილ პალტოიანი, წელში გამართული, მედიდურად ყელმოღერებული, ჯოხი ეჭირა ხელში, ფეხებს მაგრა აბაკუნებდა და ხშირად დასცემდა ჯოხს მიწას, თითქოს უნდოდაო ქვესკნელამდე გარღვევა მისი.

შეხედა თბილპალტოიანმა წესიერების დამცველს და მეგობრულად გაუღიმა ნიშნად მადლობისა და კმაყოფილებისა და უთხრა თვალებით: მე ხომ მიცნობ? ისა ვარ, ვინც მუდამ მშვიდობიანობის და ზომიერების მომხრე ვიყავიო.

შეხედა თბილპალტოიანმა ახალგაზრდას, სახე დაღონებულს, რომელიც მოუსვენრად მიეშურებოდა შინისკენ და გაუცინა მწარედ: ხა, ხა, ხა! მაშ როგორ გეგონა, ყმაწვილო, ხომ იგეგმე სიბრიყვე მისწრაფებისა შენისა და გონიერება შეთანხმებისა ჩემისა?

ხოლო ამ დროს შემოჯდა გატიტვლებულ ხეზე შავი ყორანი, მრავალის წლით გაბრძნობილი და გამოცდილებით გულ-ჩათხრობილი, ერთი დაიჩხავლა, გესლიანად დაიჩხავლა „ყვა!“ და მყის მდუმარებამ შეკრა ენა მისი.

მაშინ შეკრთა ვინმე თბილპალტოიანი ესეთ მოულოდნელის ჩხავილითა, შეჩერდა, შეხედა მაღლა მჯდომარე ყორანსა, მრავალის წლით გაბრძნობილსა და გულჩათხრობილსა, მაგრამ აღარას ამბობდა არც ენა მისი, არც სახე და ჰკითხა თბილ-პალტოიანმა თავის თავს: ვის დასჩხავლა შავმა ყორანმა?—უეჭველია, ახალგაზრდას, მიუგო თავმან მისმან.

და განაგრძო გზა. უფრო მაგრად აბაკუნებდა ფეხებს და მრისხანედ დასცემდა ჯოხს მიწას, თითქოს უნდოდაო ქვესკნელამდე გარღვევა მისი.

ხიტუა.

# რუსეთი 1909 წელს

1909 წელიწადი პირმშო შვილია 1908 წლისა და არაფრით იმისგან არ განირჩევა. ამ წელიწადსაც, როგორც წინას, ახასიათებს რეაქცია, ლიკვიდაცია „განმათავისუფლებელ მოძრაობისა“, „მშვიდობიანობის დამყარება“. ოთხი წელიწადია ამყარებენ ამ „მშვიდობიანობას“, და ამას ყველაფერი შეეწირა. ამისი შედეგია სათათბიროს შეზღუდვაც, საპყრობილეების გავსებაც, ციმბირის ვრცელ და მიყრუებულ ადგილების დასახლება პოლიტიკურებით და მრავალი სხვაც. ასეთი იყო საერთო ვითარება რუსეთისა როგორც 1908 წელს, ისე 1909 წელს. ხალხი გაჩუმდა, გაყუჩდა. ჩამი-ჩუმი არ არის და მაინც „მშვიდობიანობა მყარდება“.

რა დარგიც უნდა აიღოთ რუსეთის ცხოვრებისა, ყველაფერს დაქვეითება ეტყობა: სახელმწიფო სათათბირო, სოფელი, ვაჭრობა-მრეწველობა, ბეჭდვითი სიტყვა, ქალაქი და ერობა, პირველ-დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, სასამართლო, პროფესიონალური კავშირები, და სხვა ყველაფერი უკან-უკან მიდიოდა 1909 წელს.

ავიღოთ თუნდა ბეჭდვითი სიტყვა, პრესსა. რევოლიუციამ ბეჭვდითი სიტყვას ბევრი საკითხი დაუყენა და აღფრთოვანების დროს თავისუფალ წერასაც შეაჩვია, მაგრამ წავიდა ის დრო. და 1909 წელსაც, როგორც წინა წელს, მთავრობა შეეცადა პრესა ამ თავისუფალ წერისთვის „გადაეჩვია“ და „შესაფერი“ ზოიებიც მიიღო. ჯერ კიდევ 1908 წ. მთავრობამ 300 გაზეთი და ჟურნალი დაკეტა და 350-ჯერ დააჯარიმა რუსეთის პრესა. 1909 წელიწადი არა თუ არაფრით არ ჩამორჩენია წინა წელს, კიდეც გადააჭარბა. სტატისტიკით შარშან უფრო მეტი გაზეთი დაკეტეს და დააჯარიმეს, ვიდრე შარშან წინ. ზოგიერთს გაზეთებს ისე გაუჭირდათ საქმე, რომ წინასწარ ცენზორის აღდგენაც კი მოითხოვეს. ჩვენი დროის ერთ-ერთმა „სატრაპმა“ იქამდის გაუჭირა საქმე პრესას, რომ თვით ასოთ-ამწყობებმაც-კი იკისრეს „ცენზორობა“, რედაქტორს ნებას არ მივცემთ „ცუდი“ წერილები დასტამბოს, ჩვენ თითონ ვადევნებთ თვალყურსაო.

აიღეთ ახლა სწავლა—განათლება ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის ბარომეტრად, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სწავლა-განათლება ითვლება. სწორედ ორი წელიწადია, რაც რუსეთის სწავლა—განათლებას სათავეში მინისტრი შვარცი ჩაუდგა, შვარცის წინა მოადგილე ფონკაუფმანი „ლიბერალობისთვის“ დაითხოვეს. ჯერ კიდევ 1908 წელს „დასთრგუნა“ შვარცმა უნივერსიტეტების ავტონომია, საშუალო სასწავლებლებიდან „კრამოლნიკნი“ სულ განდევნა, ყველაფერი დირექტორის „უსმოტრენიას“ დაუქვემდებარა, ასე გასინჯეთ მშობელთა წრეებიც კი; პირველ დაწყებით სასწავლებლებს ხომ ისედაც შეხუთული სული, ნამეტან განაპირა ქვეყნებში, უფრო შეუხუთა. შარშან შვარცმა განაგრძო ეს საქმე. უბრალო რამეც-კი აკრძალული იყო. უფის ერობამ სოფლის მასწავლებელთა კურსები მოაწყო, 15,000 მანეთი დახარჯა და ბოლოს-კი, კურსების გახსნის დროს, ხახა მშრალი დარჩა — ნება არ მისცეს კურსების გამართვისა. ამისთანა ფაქტებით რამდენიმე ტომი გაივსება. ამ ერთი კვირის წინად სამსახურიდან გადადგნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი და პრორექტორი, რომელთაც ვერ გაუძლეს ეხლანდელ რეჟიმს. აიღეთ ახლა უნივერსიტეტების მიერ არჩეული პროგრესისტი რექტორები და პროფესორები. ამისთანებს არ ამტკიცებდა სამინისტრო. რასა მოწმობს თვით ეს გარემოება, რომ მოსწავლეებს სასწავლებლის გარედ თვალყურს პოლიციელები ადევნებენ. ეს ახალი წესიც სამინისტროსაგან მომდინარეობს. ერთმა „ისპრავნიკმა“ იქამდის „ადევნა თვალყური“ ერთ მოსწავლე ქალს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა თავი მოეწამლა და ნორჩი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა წუთი-სოფელს გამოესალმა. მას თან გაჰყვა მისი სატრფო 18 წლის გიმნაზიელი...

ბევრი ლაპარაკი იყო კულტურულ დაწესებულებებზე. ამ საქმეშიაც არ გამოიჩინა „ლმობიერება“ ბიუროკრატიამ. მთავრობამ პეტერბურგში დაკეტა მუშათა საგანმანათლებლო საზოგადოება, რომლის ერთად-ერთი მიზანი ის იყო, რომ მუშებში სწავლა-განათლება გაევრცელებინა, გაეხსნა საკვირაო სკოლები, სამკითხველოები, წიგნთ საცავები და სხვა. ამაეშიაც „კრამოლა“ დაინახეს და საზოგადოება მიკეტეს. სამკითხველოების, წიგნთსაცავების, კერძო სასწავლებლების დახურვა ხომ ანგარიშში მისაღები აღარ არის. სახალხო უნივერსიტეტები? საკმაო იყო რომელიმე გენერალ-გუბერნატორის „უსმოტრენია“, რომ უნივერსიტეტის გამგეობისთვის ამა თუ იმ ლექციის წაკითხვა აეკრძალათ. არ მოსწონდათ ხან ლექციის შინაარსი, ხან ლექტორის ფიზიონომია. ზოგიერთ ადგილებში ხოლერაზე ლექციებიც-კი აკრძალეს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ პსკოვის გუბერნიის ერთ სოფელში გლეხებმა სულ ერთიანად მიანგრ-მოანგრიეს ხოლერიანთა საავადმყოფო, მაგრა სცემეს ექიმს, ფერშალს. გლეხები სულ ამ ორ სამ დღეში გაასამართლეს და რამდენიმე კაცი ტუსაღთა განყოფილებაში სამი-ოთხის წლით გაისტუმრეს..

1909 წელსაც დიდი ყურადღება მიაქციეს შეგნებულ მუშებს. მრავლად მოუხდათ ამათ გამგზავრება ციხეებისა და ციმბირისაკენ... ორის მხრიდან მოუჭირეს ხელი.

რეაქციის გამეფებისთანავე მექარხნეებმა თან და თანობით დაიწყეს იმ შეღავათების წართმევა, რომელიც მუშებმა წინად მოიპოვეს. ძალა მათკენ იყო. ამის გამო, ვინ იცის, რამდენი მუშა დარჩა ულუკმა-პუროდ. მარტო ლოძში გასულ წელს მექარხნეებმა, ლოკაუტმა 12,000 ათასი მუშა დასტოვა ულუკმა-პუროდ. ულუკმა-პუროდ დატოვებას კი ის მოჰყვა, რომ ბევრმა გაჭირვებულმა მუშამ თავი მოიკლა, ბევრმაც ცარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. რაც შეეხება მუშათა პროფესიონალურ კავშირებს, ესენი ხომ პირდაპირ ჯვარს აცვეს. ეკატერინ-სლავში მუშათა ერთ პროფესიანალურ კავშირის გამგეობას ყველა საბუთების სიგნი წართვეს, სრულიად უმიზეზოდ, და მთელ წლის განმავლობაში აღარ დაუბრუნეს, თუმცა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა სენატამდინაც კი მივიდა. ვინ იცის, რამდენი პროფესიანული კავშირი დაიკეტა. ყველა ამის გამო მუშებს სრულიად დაეკარგად ხალისი პროფესიანალურ კავშირებისადმი.

ასეთი ამბები ხდებოდა რუსეთის ცხოვრების სხვა დარგებშიაც. საინტერესოა ჩვენთვის ეროვნული საკითხი. მოგეხსენებათ, რა უფლებები აქვთ ერებს—ორ-სამ სასწავლებელში ნებას აძლევენ სამშობლო ენაზე ასწავლონ. 1909 წელს ესეც მოსპეს. მაგალითად, პოლონეთის და ლიტვის სამოსწავლო სემინარიებში ლიტვინური და პოლონური ენები აკრძალეს. სხვა ერებს აღარ ვიხსენიებთ.

გასულ წლის უკანასკნელ თვეებში ორი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. მე მოგახსენებთ ფინლიანდიის შევიწროვებასა და პოლონეთის „ერობაზე“. ჯერ კიდევ წინა წლის დასაწყისში დადიოდა ხმა, ფინლიანდიას რაღაცას უპირებენო. არავინ იცოდა, რაში გამოიხატებოდა ეს „რაღაცა“. გასულ წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში მთავრობამ ფინლიანდიას მოსთხოვა სამხედრო ბეგრის მაგიერ წელიწადში 20 მილიონი მანეთი გადაეხადა. ფინლიანდიამ უკანონოდ ჩასთვალა ეს: ფინლიანდიის სენატმა უნდა გადასწყვიტოს ეს საქმეო. მაგრას არაფერი გამოვიდა. შემდეგ გამოაცხადეს, რომ ფინლიანდიისა და რუსეთის საერთო საქმეები სახელმწიფო სათათბირომ და საბჭომ უნდა განიხილონ, ფინლიანდიას შეუძლიან საბჭოსა და სათათბიროში 5 წარმომადგენელი იყოლიოს, რომელნიც ამ საერთო საქმეების გარჩევას დაესწრებიანო. ამ საქმის „გამოსარკვევად“ დანიშნეს კომისია, რომელშიაც სამი რუსი იყო და ორი ფინლიანდიელი. კომისიამ მუშაობა დააბოლოვა და „გაიმარჯვა“: „ხმის უმრავლესობით“ გადასწყვიტა, იმპერიის და ფინლიანდიის საერთო საქმეები საბჭომა და სათათბირომ უნდა განიხილოსო. ეს კიდევ არაფერი. ამას გარდა განიზრახეს ფინლიანდიისაგან ვიბორგის გუბერნიის ჩამოთლა, მაგრამ ეს საქმე შემდეგ დროისთვის გადასდეს... დასასრულ: ამ ერთი კვირის წინად ფინლიანდიელებს მოსთხოვეს, თქვენ დაწესებულებებში რუსეთის საგერბო მარკები შემოიღეთო. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ფინლიანდელები წინააღმდეგნი არიან ამისა და ვნახოთ რითი გათავდება საქმე.

მთავრობამ გასულ წელს, სხვათა შორის, არც პოლონეთი დასტოვა უყურადღებოდ და მოინდომა მისი ერობით გაბედნიერება. ამ ერობის პროექტი თავის დროზე გავაცანით მკითხველს. ყველა დაინახავდა, რა ერობაა ეს ერობა. პოლონეთის მომავალ ერობაში უპირატესობა რუსებს მიეცემათ, იქაც კი, სადაც პოლონელები უმრავლესობას შეადგენენ. სტოლიპინმა ადგილობრივ მეურნეების კრებაზე საქვეყნოდ განაცხადა: სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ პოლონეთში რუსის ელემენტი გავაძლიეროთო. იქ, სადაც პოლონელები სჭარბობენ და რუსები ხმოსნების საჭირო რიცხვს ვერ აირჩევენ, თვითონ მთავრობა დანიშნავს რუს-ხმოსნებსაო. სამაზრო და საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ უსათუოდ რუსი უნდა იყოსო. აი, ბატონებო, ასეთ ერობას აძლევენ პოლონეთს, რომელიც რუსეთის ყველა ნაწილებზედ კულტურით მაღლა სდგას.. გაიხსენეთ აგრეთვე საკითხი ხოლმის ჩამოშორებისა და სახელმწიფო საბჭოს პროექტი პოლონელ დეპუტატების რიცხვის შემცირების შესახებ.

ასევე ექცევიან სხვა კულტურულ ერებსა. პატარა ერებს ხომ, რომელთაც არც წარსული, არც კულტურა აქვთ, სულ არაფრად აგდებენ.

ცოტა რამ განსაკუთრებულ წესებზე. განსაკუთრებული წესები პირველად 1881 წელს შემოიღეს. „შემაწუხებელი ამბები და არეულობა სახელმწიფოში გვაიძულებს დროებით შემოვიღოთ განსაკუთრებული წესები სიმშვიდის დასამყარებლად და არეულობის მოსასპობადაო“, სწერდა მაშინდელი მთავრობა. გავიდა მას შემდეგ 23 წელიწადი და 1904 წელს კვლავ შემოიღეს განსაკუთრებული წესები „მშვიდობიანობის დასამყარებლად და არეულობის აღმოსაფხვრელად“. აი ეს ექვსი წელიწადია, რაც განსაკუთრებული წესები არსებობენ და რაღაც მანქანებით „მშვიდობიანობის“ დამყარებას „არეულობის აღმოფხვრას“ არა ეშველა-რა. „არეულობის აღმომფხვრელი“ ეს საშუალება რუსეთის თითქმის ყველა ადგილში. მუშვიდე წლის მე 9 თვემდე გადაიდო, სექტემბრის ოთხამდის. არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ ბიუროკრატია, სიტყვით მაინც, უვარგისად სთვლის ამ წესებს, რადგან ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ არის რამე კარგი კანონი, ამ უვარგისით უნდა ვისარგებლოთო. რას იზამთ, ამ 29 წლის განმავლობაში ვერ შესძლოს რიგიან კანონის შემუშავება, ვერ მოიცალეს... ეს განსაკუთრებული წესები 1910 წელშიაც გადმოგვყვა.

კინაღამ ისე გავათავეთ ეს წერილით რომ ერთი თვალსაჩინო მოვლენა დაგვავიწყდა. განვლილი წელიწადი პროვოკატორების წელიწადი იყო. აზეფი, გარტინგი, ვასკრესენსკი და მრავალნი სხვანი ამ წელს გამოაშკარავდნენ...

დასასრული პატარა სტატისტიკა: 1909 წლის თერთმეტი თვის განმავლობაში რუსეთში ჩამოახრჩეს 786 კაცი და ქალი...

ჩო—ელი.

# ვერ მიაღწია

## I.

„ხვალ ახალი წელიწადია. დედა მზადებაში იქნება, ერთი სიხარული და ჟრიამულია ახლა ჩვენსას. ჩიჩილაკიც დამზადებული და თაროზე წამოჭიმული იქნება. ღორის თავი, ხაჭაპურები, ღომის კაკალი, ვაშლები, ბროწეული და თეთრი ფული მამას ძველი პორტმანით გობზე იქნება დალაგებული და დედის ძველ სკივრზე დადგმული. ვინ იცის, დედა ახლა იქნება ილოცავს ქათმის თავ-ფეხს დაკეტილ კარებში და დანარჩენები, ნიგვზის ტოტების წვერებს ამტვრევენ... ასე იყო მაშინაც, როცა პატარა ვიყავი. ასეა ახლაც, ბევრისთვის არაფელი არ გამოცვლილა... ვახ, ნეტაი იმ დროს, როცა პატარა ვიყავ, დედასთან და ჩემ და-ძმასთან ერთად მხიარულად ვხვდებოდი ხვალინდელ დღეს!“

ასე ფიქრობდა ახალგაზრდა ქალი რკინის გზის სადგურზე, პირველ კლასის ბუფეთში ერთ კუთხის სკამზე მიმჯდარი. გვერდით პატარა ბოღჩა ედო, ტანთ გახუნებული კაბა ეცვა, თავს თეთრი შალი უფარავდა. გარეგნობით მოსამსახურესა ჰგავდა. ცის ფერი ჟუჟუნა თვალები ნაღვლიანად მიეპყრო ელექტრონის სინათლისათვის და შორს დაფრინავდა ფიქრებით.

ზალაში ტევა არ იყო. მგზავრები ერთი ერთმანეთზე ეყარნენ. თორმეტის საათის მატარებელს ელოდნენ. თორმეტიც შესრულდა. კედელზე გამოაკრეს შემდეგი განცხადება: „მატარებელი საათ ნახევრით იგვიანებსო“. უსაქმური ახალ-გაზრდობა ადგილის სივიწროვეს ყურადღებას არ აქცევდა. წინ და უკან დადიოდნენ, ულვაშებს იგრეხავდნენ, ქალებს ათვალიერებდნენ. იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ. კუთხეში მჯდომ მოსამსახურე ქალზე ბევრ ახალგაზრდას რჩებოდა თვალი. ის კი არავის არ აქცევდა ყურადღებას. თავის ფიქრებს შთაენთქა.

ტასო—ასე ეძახდნენ—თორმეტის წლისა ჩამოიყვანეს ქალაქში. მისი მამის ძმა ქალაქში თერძად იყო, ქალაქელი ქალი ჰყავდა ცოლად და ქალაქშივე სცხოვრობდა. შეეცოდა ღარიბი ძმა, ბევრი შვილების პატრონი, ერთი შვილი მოაცილა და წამოიყვანა. „ხელობას ვასწავლი, ხელზე ვიმსახურებ და მერე მოხელე კაცს მივათხოვებო“. სამს წელიწადს ბედნიერად სცხოვრობდა ტასო ბიძის ხელში. თბილი ბინა და თბილი კერძი. მართალია, ძალუას არ ემადრიელებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ბიძის ტკბილი სიტყვა ავიწყდებოდა სხვისაგან ნაწყენს. ყოველ წელიწადს დაჰყავდა ბიძას სამშობლოში, დედ-მამასთან. სუფთად აცმევ-ახურავდა.

მაგრამ მერე უკუღმა დატრიალდა მისი ბედი. ახალგაზრდა ბიძა უეცრად მოუკვდა. ბიცოლამ კარები დაუკეტა. დარჩა ქუჩაში, ღვთის ანაბარა. იმდენი საღსარიც არა ჰქონდა, წასულიყო შინ მშობლებამდის მიეღწია. კეთილმა მეზობლებმა შეიბრალეს. ერთი-ორი ღამე გაათევინეს, მერე ადგილი უშოვნეს და მოსამსახურედ დააყენეს. ერთის წლის ჯამაგირი გაუგზავნა დედმამას. ღარიბი კომლთ ცას დაეწია სიხარულით: ოჯახში შემოსატანი შვილი მოსწრო ღმერთმა. გარდაცვალებულ მაზლს ცხონება შეუთვალა ცრემლ მორეულმა კაცმამ, რომ ასეთი კეთილი საქმე დასთესა ცხონებულმა მათ ოჯახზე. „ბოლოში გზაზე დააყენა: შენთავთაც ქალი გამოვა და ჩვენც ხელს შეგვიწყობს, თუ ღმერთმა დღე მოგვცა“... [illegible] ტასოს მშობლები.

[illegible] წლის შემდეგ ქალი ... სამსახურს თვალში ... ლამაზ ტასოს ოჯახში გაჩერება. ახალგაზრდა ქმარი ცოტათი ღვინისა და ლამაზების მოყვარულიც იყო. ოჯახის დედამ წინდაწინ განსაზღვრა, რა მოელოდა, თუ ქმარი გულს შეიცვლიდა. ერთ მშვენიერ დღეს, ისევ უადგილოდ დარჩა ტასო. ეხლა შეეძლო სოფელში წასვლა, მაგრამ უკვე შეჩვეული იყო ქალაქის ცხოვრებას. აქ უფრო მოსწონდა, აქაური სამზარეულო ერჩივნა სოფლის დიდ მიწურ სახლს. დილას ადგომას, სამოვრის დადგმას, იატაკების დაკრიალებას, სადილის მომზადებას, ბავშვების მოვლას ამჯობინებდა ძროხების წველას, წყალ-ტალახში ღორების დევნას და განუწყვეტლად სახოხე შალების ქსოვას. დიდ-ხანს არ დასჭირდა ადგილის ძებნა, ხუთ მანეთად თვეში ვინ არ აიყვანდა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყველაფრის გამკეთებელ ქალს?

## II

მატარებელი უკვე მოსულიყო, ხალხი ბილეთებს იღებდა. ვიღაც მოხუცმა მგზავრმა გამოარკვია ტასო ფიქრისაგან.

— თქვენ საით მიდიხართ, შვილო? ბილეთს არ იღებთ?..

ტასო მძიმედ წამოდგა, თავისი ბოღჩა აიღო და ნელა მივიდა კასასთან. თითქოს უნდოდა და არც უნდოდა ბილეთის აღება. ნახევარი საათის შემდეგ, ქშინვით დასტოვა მატარებელმა ქალაქის სადგური და ვაი-ვუით გაუდგა გაყინულ ლიანდაგიან გზას. ტასომ, როგორც იყო, იშოვა ვაგონის ერთ კუთხეში ბინა და რეტ-დასხმულივით მიჯდა ფანჯარასთან; ვაგონის მბჟუტავი ფანარი ძლივს ანათებდა იქაურობას. მგზავრები პაპიროზს სწევდნენ, კვამლის ნისლი ბურავდა ყველას. უსიამოვნო სუნი იდგა. ვაგონების რახ-რახს ბანს აძლევდა ხალხის ხმაურობა, ხმა მაღლა ლაპარაკი. საძინებელი ფიცრები გამოეწიათ და ზედ წაგორებულიყვნენ. ზევიდან ვიღაც მთვრალი იფურთხებოდა. ქვევით ფეხზლებს ჯავრი მოსდიოდათ და ილანძღებოდნენ. ვიღაც მეორე მხარეზე გარმონს უკრავდა. სადღესასწაულოდ დათხოვნილი სალდათები არეულად და უსიამოვნოდ მღეროდნენ.

ყველა ამათ უყურებდა ტასო. ისმენდა, მაგრამ კი არ ფიქრობდა ამათზე. ვიღაც თავდახურულმა ქალმა და ნაღდიანმა კაცმა ჩაიარეს. ადგილს ეძებდნენ. ტასომ, ქალი თავის ქალბატონს მიამგზავსა, რომელთანაც ორი წელიწადი სცხოვრობდა და რომელიც სულ ხუთი საათის წინად დასტოვა, დასტოვა თავის პაწია, სამზარეულოსთან მოთავსებული ოთახი... ტასოს თვალწინ წარმოუდგა თავისი ძველი ბინა, თავისი გულ-კეთილი ქალბატონი, რომელიც მართლა შვილივით ექცეოდა. გამოთხოვების წუთიც დაუდგა თვალწინ:

## III

— გოგო, რა ხასიათზე დადექი! ორ წელიწადზე მეტია ჩემს ოჯახში ხარ... შვილივით გაგზარდე და ესეთი უმადურობა, მადლობის სამაგიერო? დღეს რა დროს წასვლაა: ხვალ დღესასწაულია, სტუმრები, როგორ უნდა აუვიდე საქმეს? ან როგორ უნდა წახვიდე ასეთ ამინდში... თქვენში იქნებ თოვლია, გზათ რომ დარჩე?— ყველაფერი ერთათ მოუთავა რიფსიმემ ლოგინთან ატუზულ ტასიკოს.

— არ შემიძლიან, ქალბატონო... ერთ დღესაც ვეღარ დავრჩები... დედის ნახვა მინდა, სული იმისკენ მიმიწევს... თქვენ გგონიათ გულგრილათ ვტოვებ ამ სახლს?—ქალმა ამოიხვნეშა და ცრემლ მორეული თვალები მოარიდა ქალბატონს.

— აბა რა იყო, შვილო? რატომ არ მეტყვი? დიდი ხანია გატყობ, ის აღარა ხარ, რაც იყავი... გახდი, დადარდიანდი, ერთ ღიმილს ვეღარა ვხედავ შენს სახეზე... იქნება სამშობლოზე დარდობ, ან იქნებ შეუძლოთა ხარ? მითხარი, შვილო...

— არა, ქალბატონო, არ შემიძლიან, ვერაფერს ვერ გეტყვით, ვერ გეტყვით, რადგან მიყვარხართ და ვაფასებ თქვენ დედობრივ ზრუნვას.

— აბა ვინ რა გაწყენინა, შვილო? თუ ძლიერ გინდა წასვლა, წადი, იმხიარულე, მშობლები ნახე და ისევ მოდი... ჯამაგირსაც მოგიმატებ.

— არა, ქალბატონო, მე აღარ მოვალ!—ტასომ ცრემლები ვერ შეიკავა, ქვითინი წასკდა. უბეზე ხელი წაივლო, ცხვირსახოცი ამოიღო. რაღაც კარტონი გადმოჰყვა უბიდან და იატაკზე დავარდა. ვერ შეამჩნია, მხოლოდ ქალბატონმა მოჰკრა თვალი, დასწვდა აიღო, დახედა და გაფითრებულმა ტუჩები ჩაიკვნიტა. სურათი მისი ვაჟისა იყო, გადაღებული მაშინ, როცა მერვე კლასში იყო.

ქალბატონმა ხელი ძირს დაუშო და მიაჩერდა ტასოს. წყრომაც იხატებოდა მის თვალებში და სიბრალულიც.

ტასომ ეხლა ყველაფერი დაინახა. გულმა ღონივრად დაუწყო ცემა. ცალი მუხლი აუკანკალდა, მერე ხელი და მთელმა სხეულმა ფოთოლივით დაუწყო თრთოლვა. შეეშინდა თუ შერცხვა? დიდხანს უცქირა ქალბატონმა და, როგორც იყო, დასძრა ენა.

— იმიტომ მიყვარდი, ტასო... იმიტომ არ გარჩევდი შვილებში, რომ ასეთი გექნა?..

ტასომ უფრო დახარა თავი და ლაპალუპით გადმოსული ცრემლი ხელებზე დაეწვეთა...

— მიპასუხე... ასწიე თავი?!

— ხომ მივდივარ, ქალბატონო... ხომ ვეღარ დამინახავთ თვალით—ჩაილუღლუღა ტასომ ძლივს გასაგონად.

— მიდიხარ?—გაეღიმა რიფსიმეს მწარედ:—მიდიხარ, მაგრამ, მითხარი, ისე მიდიხარ, როგორც მოხვედი და ისეთივე უმანკო მიუხვალ დედა შენს, როგორიც გამოგიშვა?

აქ ტასომ ამოიკვნესა, მუხლებზე დაეშო, ლოგინს დაემხო და უფრო უმატა ტირილს.

— ნუ, ნუ მტანჯავ, ქალბატონო... მეყოფა, რაც ტანჯვა მიმაღებინა თქვენმა ოჯახმა... ბავშვი მოვედი და დედაკაცათ მივდივარ. ენკენისთვიდან ოთხი თვისაა... ის კვდებოდა, თავს იკლავდა, ვეღარ სწავლობდა... ავად გახდა... ვეღარ გაუძელ და დავიღუპე,—შესძახა ტასომ და პირდაპირ შეჰხედა ქალბატონს.

— რატომ არ მეუბნებოდი, შე უბედურო... ვერ ვაჩვენებდი როგორც უნდოდა ავადმყოფობა!.. დღეს, რაღა ვქნა!

— მეშინოდა, ქალბატონო... მიყვარდა... მზად ვიყავ წამლად ვქცეულიყავ და მარილივით დავმდნარიყავ მის საკეთილდღეოდ... მან-კი ასე გადამიხადა. დღეს უფსკრულია ჩვენ შორის...

ტასოს გაფითრებულ სახეზე თმები ჰქონდა ჩამოწეწილი, გული ძალზე უცემდა და კუთხეში დაკიდებულ პატარა ხატს მისჩერებოდა.

ტახტზე ჩამომჯდარმა რიფსიმემ წაავლო ტასოს ხელი, მიიზიდა, ჩაიკრა გულში და ტირილით გადაუსო თავზე ხელი.

რად, რად მიყავი ეგ საქმე?—ქვითინებდა ქალი.

ტასოს გაუკვირდა, არ მოელოდა ამ თანაგრძნობას.

— თქვენ რა გატირებთ, ქალბატონო?—ჰკითხა.

— რატომ, შე საწყალო... მეცა მყავს ქალი, ჩემგან დაშორებულია ის რუსეთშია. უფრო შორს, ვიდრე შენ შენს დედაზე... იმასაც რომ ასე შეემთხვეს, რა უნდა იყოს ჩემს თავს?—ქალი ჩაფიქრდა. დიდხანს, დიდხანს იჯდა გარინდებული, საგონებელში ჩავარდნილი. ტასო იმის მუხლებზე დამხობილი სლოკინებდა.

რიფსიმე კეთილი ადამიანი იყო, გონივრული აღზრდა მიეღო. ქმრისა მუდამ უკმაყოფილოს ბევრი სიმწარე ენახა. მგრძნობიარე გული ჰქონდა. დიდხანს იფიქრა, ბოლოს გაიქნია თავი, თითქოს ფიქრები გაჰფანტაო:

— არა, შვილო, ადექი... ადექი, ტასო... ბევრჯერ მითქვამს შენთვის ჩემი თავ-გადასავალი, გამიფრთხილებიხარ... მაინც მოხდა ასე... თვით დაჩაგრული სხვას ვერ დავჩაგრავ...—ქალს ხმა აუკანკალდა:—დღეიდან შვილი იქნები ჩემი... სამზარეულოს დასტოვებ, ჩემს თამრიკოს დაუჯექ გვერდით და იმასთან ერთად ისწავლე... იქნებ ცოტად მაინც მოეწიო სწავლით და გაუსწორდე... გაუტანელ შვილს მე ვასწავლი, როგორც უნდა კაცის დაჩაგვრა.

— მერე?—გააწყვეტინა გაკვირვებულმა ტასომ.

— მერე? ჩამოვა და შვილის დედას დაამკვიდრებს... ჩემი ნება ასეთია.

— ქალბატონო!—დაიძახა ტასომ და სწვდა ხელებზე დასაკოცნად.

— არა, დედა დამიძახე... მე ქალბატონი აღარა ვარ დღეიდან.

ტასო ცოტა ხანს გაშტერდა, თავი სიზმარში ეგონა.

— არა, ჩემო დედა, ჩემო ძვირფასო დედა! სად მე, არაფრის მცოდნე... სად ვანო... განათლებული... სტუდენტი...

— რატომ, წინად არა ფიქრობდი ასე... თქვენს სისულელესა და წინ-დაუხედაობაში ჩემ შვილისშვილს რა ბრალი აქვს...

— არა, ქალბატონო, არ ვფიქრობდი, ვერც დამესიზმრებოდა, რომ თქვენ მაგას იტყოდით... ასე მომექცეოდით... მე თვითონ უარს ვამბობ ჩემს ბედნიერებაზე და მივდივარ...

რიფსიმემ განივრად გაადო თვალები და გაკვირვებული დააცქერდა: „ხომ არ შეიშალაო".

— გგონია გეხუმრები, სულელო! ასეთს დროს მე ხუმრობა არ მიყვარს. ადექი, გაწყენს შენს ყოფაში მყოფს...

ტასო ისევ ბოღჩას მიუბრუნდა.

— არა, ქალბატონო... მე მივდივარ... თვითონაც არ ვიცი, სად ან რისთვის ან როგორ მოეწყობა ჩემი ცხოვრება... ეხლა საშინლად მინდა დედის ნახვა... მერე არ ვიცი... თქვენ იცოცხლეთ... იმან იხაროს და მე თქვენ სახლის ჭერს ვერ დავინახავ...

— მიზეზი, გოგო?

— მიზეზი? იმას არ უყვარვარ... დავავიწყდი... ეხლა ვხედავ, ისე უნდოდი, თორემ თავის დღეში არ ვყვარებივარ... დღემდის იმედი მქონდა, ეხლა კი... გათავდა. არც ჩამოვიდა. უქმეებზე, რაა არ შემხვდეს... ის უბედური იქნება, თქვენი სიტყვა რომ ასრულდეს. ეს კი არ მინდა...

კიდევ მაქვს მიზეზი.., გაფიცებთ ვანოს, ნუ მკითხავთ!—ტასომ უკვე შეჰკრა თავისი პატარა ბოღჩა.—მომეცით, ქალბატონო, ეს სურათი, მაინც ძვირფასია ჩემთვის...—და ორი დიდი ცრემლი კიდევ ჩამოეკიდა ქუთუთოებზე.

ქალბატონს გული დაეღარა, თვალზე მომდგარი ცრემლი ძალად გააბრუნა, ნერწყვი მძიმედ ჩაყლაპა და ყელში გაენასკვა. უხმოთ გაუწოდა სურათი.

— დამაცა!—უთხრა და შევიდა თავისს ოთახში. ისევ ჩქარა შემობრუნდა და ფული ჩაუდო ხელში.—

— არ დაკარგო, ამ ხანათ ეს იყოს... წადი, ეს ფული შენს მშობლებს მიეცი... ისევ ჩქარა ჩამოდი, თამამად მოდი ჩემს ოჯახში... მე წინააღმდეგი არა ვარ... მაგრამ თუ მაინც მაგ აზრზე იქნები, ისე მოგალოცინებ, კაცმა ვერ გაგიგოს. ყმაწვილს მე გავზრდი... ცუდი არაფერი იფიქრო-რა და თავს რამე არ აუტეხო... თორემ იცოდე, ამით მე დამსჯი... მე არ უნდა გამეზარდა ისეთი შვილი...

ჯერ არ დაეთავებია სათქმელი, რომ კიბიდან სიცილ-ხარხარით ამოსცვივდნენ უმცროსი შვილები ამხანაგებით. ცოტა კიდევ და როიალის ხმა მოისმა დარბაზიდან. თამარი უკრავდა. ბედნიერი შვილები მხიარულობდნენ.

ტასომ არავინ არა ნახა, უმძიმდა ახალგაზრდებთან გამომშვიდობება. ერთხელ კიდევ ჩაჰკოცნეს ქალბატონ-მოსამსახურემ ერთმანეთი და ტასო გულჩათხრობილი დაეშო ბნელ კიბეებზე...

4.

„აჰ, ოხერო ცხოვრებავ, რამდენი სიმწარე დამალევინე ამ ცოტა ხანში!—წამოიძახა ტასომ და ვაგონს მოავლო თვალი.

გათენებას შემოეტანებინა. ფანჯრების მინები ჰრელად მოეხატ-მოეხატა ყინვას. ფანჯრების იქით გატიტვლებული მინდვრები თეთრის ზეწარით იყო დაფარული და შიშველი ხეები ტრიალ-ბზრიალით გარბოდნენ თვალთაგან. გახურვებული სახე ცივ მინას მიაყრდნო ტასომ, მთელი ღამის უძინარი თვალები ჩაუწითლდა და ტუჩებიც წითლად დაეფცხა.

მძინარე ხალხმა გამოიღვიძა... ბრჭყვიალა მზემაც ამოჰყო თავი მთის იქიდან და მოელვარე სხივები გადმოსტყორცნა გაყინულ თოვლს. მატარებელმა სიარულს უკლო.

სადგური № ნი!—დაიძახა „კონდუქტორმა".

ხუთიოდე მგზავრი წამოიშალა ადგილებიდან, მათ შორის ტასოც. მანაც მოჰკიდა ბოხჩას ხელი და უხალისოდ გამოვიდა ვაგონის კარებში.

— უჰ! უჰ! უჰ!..—დაიძახა ორთქლ-მავალმა და დადგა. ტასო გადმოვიდა.

წითელ-ქუდა რაღაც ქალიდით გამოექიმა წინ მატარებელს, სადგურის ფანჯრებში ვიღაცებმა გადმოჰყვეს თავები.

„იქაც, აქაც ახალი წელიწადი! ახალი არაფერია... მაშინაც ასე იყო, ახლაც ასეა... რა მოიტანა ახალმა წელმა? მხოლოდ ჩემი უბედურება"—გაიფიქრა ტასომ.

ქვევით დაეშო. სადგურის მოშორებით სამიკიტნოს დუქნებს ჩაუარა არღნის ხმა და ღრიანცელი მოისმოდა. სხვა დროს შეეშინდებოდა აქ ჩავლისა, ეხლა-კი ყურადღებას არ აქცევდა. ტასო მარტო შეუდგა აღმართს... მიდიოდა, მიდიოდა უანგარიშოდ...

„კარქ მისალოცს მიუტან დედას,—გაუელვა თავში:—გამიწყრებიან, მარა ფულიც კი გაუხარდებათ. მე წავალ ისევ... ბათუმში წავალ... მისი სურათი ხომ მაქ?" უბეზე მოიცლო ხელი.

დიდ ხანს იარა. ფიფქმა თოვლმა ფეხსაცმელი ამოუვსო. გული გაუხურდა. დაღლილობა იგრძნო და წაქცეულ მუხის კუნძზე ჩამოჯდა. კაშკაშა მზეზე თვალები აუჭრელდა და თითქოს თავბრუ დაეხვა. მატარებლის კივილი მოისმა, წამოდგა, განვლილ გზას გახედა და შორს თეთრი კვამლი დაინახა. ახალ წელს ერთნაირობა მოსწყინდა, ქვეყანას ღრუბელი წამოეფარა. დაუდეგარმა ქარმა წამოუბერა, გაყინულ თოვლს წაუნიავა. დაღლილს ტასოს მუხლთ მოესერა, თვალთ დაუბნელდა და გულ-შემოყრილი თოვლზე წაიქცა. გულ-უხვმა ქარმა არ დაინანა თოვლის საბანი და ფრთხილ დ მიაფარა ქალს...

მ. გარ-ული.

## ახალ წელს

მარადისობამ, დროთ წიაღებულმა, ბურუსით მოცულ მომავლიდგან ერთიც კიდევ მოგავლინა ქვეყანას, ახალო წელო!

ქვეყანა ტანჯული, ქვეყანა მჭმუნვარე ერთიც კიდევ გეგებება ნეტარებით, სიხარულით...

დამწვარი გულით, მოწამლულ სიცოცხლით ყველა გიღიმის, ყველა გეალერსება; შენ კი ნიღაბ-ჩამოფარებული სდგეხარ ქვეყნის წინ, არავინ იცის ვის რას ეტყვი, ვის უცინი, ვის შავ-ბედს დაჰგლოვ!..

სწრაფად თუ ნელათ, წყნარად თუ ქუხილით ერთის ნაბიჯით მიესწრაფვი წარსულის წიაღს და თან გზაზე ნელ-ნელ იხსნი შენ შავ-ნიღაბსაც და როცა სამარადისოთ შთაინთქები წარსულის უფსკრულში, შენი სახეც მაშინ ჩნდება ნიღაბ-მოხსნილი.

ქვეყანა უოველთვის შემოგცქერის პირდაპირ, მაგრამ შენ სახეს კი ჰხედავს ზურგიდან.

ქვეყანა ყოველთვის ჰხედავს შენს მოსვლას, მაგრამ აცნობს კი მხოლოდ მაშინ, როცა გადაუვლი მის მკერდზე, გაჰქელავ მის ცხოვრებას და იქ დასტოვებ ავალს ამოუშლელს მთელ სიცოცხლისთვის.

ოჰ, რა სტუმართმოყვარეობას იჩენს ხოლმე ქვეყანა შენს წინაშე! ოჰ, რა უმადური ხარ შენ ყველას წინაშე!

და, ყველამ გიმღეროს, გეგალობოს, შეგახსხს ქება, ჩემი ბაგენი კი არ იტყვიან შენთვის სიმღერას!

შენა გგონია, ვით ნაზ ყვავილებს სურნელოვანებს წინ გაგიფენდი ჩემ ტკბილ იმედებს?

შენა გგონია ჩემი ოცნებით ნიღაბის ნაცვლად ჩაგაცვამდი ძვირფას სამოსელს, ზედ სამკაულათ დაგკიდავდი ჩემ ნატვრა, წადილს ან ჩემ სურვილებს, მრავალ ტანჯვით და სიამით წარმოშობილებს!

შენა გგონია შენი მოსვლა ამ ჩემ სახეს ჰგვრის რამ სიამეს ან წარსული წლით ჩაბნელებულ სიცოცხლის არეს ყადბი სხივებით, გამინათებ, გამიცისკროვნებ?!

სცდები! სცდები, როგორც სცდებიან შენში ყველანი!..

შენ შეჰხვიე, რომ მოსვლისთანავე ყველამ გაგიხსნას გული და გიჩვენოს თავის სურვილი, თავის ნატვრა, წმიდათა-წმიდა!

შენ შეჰხვიე, რომ არავის ეჭვი არ შეჰქონდეს შენ ყოვლად შემძლებლობაში, იმედთა გამართლებაში, ნატვრათა შესრულებაში!

შეჰხვიე, რომ წინათვე არავინ ჰხედავს შენ სიყალბეს, გაიძვერობას!

შენ გაგათამამა ქვეყანამ! გაგაამაყა ყველამ!

ირგვლივ მესმის ხმა შენის ქებისა, შენდამი ვედრებისა და მეშინია ამ უსაზღვრო ქებაში, უზომო ვედრებაში გაიგებ თუ არა ჩემ უკმაყოფილო ხმას, ჩემ მწარე შემოძახილს!

— მე არ მწამს შენი კეთილი განზრახვანი, არა მჯერა, რომ შენ იყვე ბედნიერების მახარობელი!

ნუ თუ არ გესმის მრავალ საუკუნეთა წიაღიდან, რომელნიც ჯერ არ ჩამქრალან დავიწყების უფსკრულში როგორ მოისმის კვნესა და წუხილი, ვედრება და მუქარა, ტანჯვა და ცრემლთა-ღვრა?—ეს არის საშინელი, შეუსაზარი ხმა წინაპართა, რომელნიც ბანიც გაისმის თვით შორეულ მომავლამდისაც კი.

ოდესმე იგინიც ხომ შემოგხაროდნენ, შემოგნატროდნენ და შენგან მარად მრავალ სიკეთეს ელოდებოდნენ, ძვირფას იმედთა გამართლებაზე ოცნებობდნენ; წარსული წლით ანატირებნი მოიწმენდნენ ცრემლებს და შენ ღიმილით შემოგხედავდნენ; სასოწარკვეთილნი, დაქანცულნი შენს დანახვაზე ახალ იმედს გულს ინერგავდნენ, შენ კი როგორც დრის ერთგული შვილი იმათ სათუთ გრძნობებს, მათ ტკბილ იმედებს დაუნდობრად სტყორცნიდი ცრემლთა მორევში, გვემათა ქარ-ტეხილში!..

ჩემი სიცოცხლე სუნთქავს წინაპართა განცდით, ჩემი გული ჰფეთქავს იმათი ტანჯვით და როგორ შემიძლიან შენ, ცრემლთა მომგვრელს, ტანჯვის მთესველს შემოგხედო ტკბილი იმედით, ნეტარ ოცნებით!

და, ჩემი იმედები დაიმარხონ ისევ ჩემ გულში, ვიდრე შენ სიყალბეს მიგნდო მე იმათი ბედი!

და გაქრნენ ოცნებანი უგზო-უკვალოთ, მხოლოდ იმედი კი არ მექნება, რომ შენს მკერდზე იქცევიან იგინი სინამდვილეთ.

მაგრამ მაინც ნუ გგონია, რომ მე შენგან არაფერს არ ველოდებოდე.

ველოდები, ბევრ რამეს ველოდები: ვიცი, რომ შენით ქვეყნის თვალზე არ შეშრება მწუხარების ცრემლი და ველოდები, რომ უფრო მეტათ ააკვნესებ და აატირებ მას.

ვიცი, რომ შენის მოწმობით არ გაითელდება სამშობლოს გული და ველოდები, რომ მას უფრო დაჰკოდავ, უფრო მოსწამლავ.

ვიცი სინათლეს რომ ვერ მოჰფენ ქვეყნის სიბნელეს და ველოდები, რომ მისს სიბნელეს გადააქცევ ნამდვილ წყვდიადათ, სადაც არა თუ მზის სხივები, თვით მთვარის შუქიც სინატრელათ გადაიქცევა და ამ ნატვრაში ამოხდება სულ ყველას სული...

თუ განგების გულში გადაწყვეტილია, რომ ადამიანნი არ ეღირსებიან ამ ქვეყნიურ სამოთხეს; თუ ყველას ტკბილი ოცნებანი დრუბლით მქროლავნი, მოსრიალენი არ დაეცემიან ძირს ქვეყანად ნაზ—ცვარ ნამათ; თუ კი მწუხარებათა ყველა ნატვრანი, მათი ოცნების ნაყოფი ნაზარდნი ამაოებას არ მოსწყდებიან და მონატრულ გულთ, მარად ტანჯულთ ტურფა ვარდთ არ ეუნოსუბიან, რატომ არ ამცნობ მაშ ქვეყანას მათი ოცნების ამაოებას?..

მე არა მჯერა, რომ სიბრალულით მათ უმალავდე ჭეშმარიტებას და იმის ნაცვლად მათ მონატრულ გულს, მოუსვენარ მათსა გონებას შენ აწვდიდე თავმოტყუებას!

შენი ტკბილი სახით, შენი უცნობი სახით ყველას გულში უნერგავ მძლეთა-მძლე იმედს. წარსული წლით ატირებულს შენ ყინ აცინებ! წარსული წლით მოტყუებულს, შენ აიმედებ, მაგრამ შენც ატირებ! შენც მოატყუებ!

შენ ბაგეთ ჯერ სიტყვა არ უთქვამთ, მაგრამ მათში უკვე ვამჩნევ სიყალბეს! შენი თვალები ჯერ არც კი გახილულან სავსებით, მაგრამ მათში უკვე მოსჩანს გაიძვერობა. შენ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ვგრძნობ, შენ ძარღვებში ჰფეთქს შენ წინაპართა სისხლი, სისხლი სიყალბის, მოტყუების, იმედთა გაცრუების, ოცნებათა განიავების...

მე მწამს, რომ შენ კალთაში მხოლოთ იკვნესის ქვეყანა! მწამს, რომ ერთხელ გაცინებულს ათჯერ ატირებ! მწამს რომ დაბადებიდან სიკვდილის დღემდის შენ იქნები ქვეყნისთვის ახალი ტბა, ახალი ზღვა, სადაც იგი იცურავებს, იცოდვილებს თავის თვალ-ხილული ტანჯვით და წარმოდგენილის სიამით; ზოგს ჩაჰღუპავ, შთანთქავ შენს უფსკრულში, შენი ქარიშხალით თავ-ბრუ დახვეულთ, ზოგს კი გადასცემ შენ მომავალთ, შენ მემკვიდრეებს თავიანთი ტანჯვით, თავიანთ ოცნებით, რომ უგზო-უკვლოთ იქ განაგრძონ თავიანთი ცურვა, რომ იქ აცნოთ მათ ანდერძი უხსოვრათ, უძვლდოდ მარადისობაში.

ეჰ, მატყუარავ! ოდესაც მეც გაგიღიმე ტკბილი იმედით! მეგონა, რომ შენს წიაღში აჰყვავდებოდა, რასაც უმღეროდა ჩემი გული, ჰნატრობდა სული, მაგრამ რა ვნახე! მხოლოდ შორიდან დამანახვე ნატვრის სურათი, შემდეგ გააქრე შენს ბურუსში, როგორც ნისლი!

ქვეყანა შენს ხელშია! დაუბერე მას მწუხარების ქარით, დასწვიმე ცრემლებით! უდელვე ტანჯვით! დაჰქუხე კვნესით! მას მრავალჯერ აუტანია შენი უსამართლობა და ეხლაც ჰზიდავს, ვიდრე შეეძლება!

ო, ახალო წელო! ხედავ რას გეუბნევი! ხედავ, რამდენ უსამართლობას ველოდები შენგან!

ერთად ერთი სიკეთე, რომლითაც შეგიძლიან მომანიჭო იქნება ის, თუ სავსებით არ გაამართლებ ყველა ჩემ მოლოდინს!

არ შემიძლიან, რომ ჩემ გულში საშუდამოდ ჩავაქრო იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი და ეს ნაპერწკალია თავისი მბჟუტავი, მომაკვდავისებური შუქით რომ მეუბნება:

— ნუ გაამართლებ სავსებით ჩემს მოლოდინს.

ლევ. მეტრეველი.

## ახალი იმედი

ახალ წელიწადს მკითხველი ყოველთვის ახალ იმედისა და ნუგეშის გამოთქმას ელის მწერლისაგან. ჩვენი ცხოვრება, რასაკვირველია, საამისო მასალას არ აძლევს მწერალს, ამიტომ, ძალა-უნებურად, სხვა ქვეყნებს უნდა მივმართოთ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ კაცობრიობა მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა და იბრძვის თავისუფლებისათვის და ამ თავისუფლებას იმკვიდრებს იმის დაგვარად, თუ როგორ ესმის ამ თავისუფლების სიღრმე და სივრცე. ამ მხრივ კაცობრიობის ცხოვრება თავისუფლების იდეის, იმისი შინაარსის გავრცელება-გაღრმავებას უდრის.

ძველად თავისუფლებისათვის ბრძოლა [illegible] ბანაკზე იარაღით იერიშის მიტანას უდრიდა, ადამიანურ უფლებების მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად. ისტორიულმა სინამდვილემ გვაჩვენა, რომ მტერმა ვერ გაუძლო ამ იერიშს და რამოდენიმედ უკუ იქცა და დაუთმო ხალხს უფრო ვრცელი ასპარეზი ცხოვრებისათვის, ვიდრე მას წინად ჰქონდა. მხედრული სახელწოდებანი რომ ვიხმაროთ, ხალხმა მოიგო რამდენიმე „პოზიცია", რომელიც წინად მის ხელთ არ იყო. მონობა შემსუბუქდა, მაგრამ მაინც მონობად დარჩა.

მწარე გამოცდილებამ დააფიქრა ხალხი და იმის მოწინავე რაზმები და აიძულა აღმოეჩინა ახალი საშუალებანი ბრძოლისათვის მონობის ძირიანფესვიანად აღმოსაფხვრელად. ძველად თავისუფლებისათვის ბრძოლა ხალხის ერთი ნაწილისაგან მტრის მოსამსახურე ხალხის მეორე ნაწილზე იერიშის მიტანას უდრიდა, დღეს კი ისევ ბრძოლა სულ სხვა რამეს გვიმხელს და მოასწავებს. დღევანდელი ბრძოლა მოწინავე აზრის, იდეის ხალხში გავრცელების გავლენით მტრის რაზმების დარღვევას უდრის. დღევანდელი იერიში—სულიერი იარაღით მტრის მოსამსახურე ხალხის უვიცობაზე მძლავრ კვეთებას უდრის; ისეთი მოღვაწეობაა როცა მტრის ციხე შიგნიდან ტყდება, რადგან იმისი ქომაგი ხალხი თავის მდგომარეობას სულ უფრო და უფრო ნათლად ჰხედავს და ჰგრძნობს დაჩაგრულ ხალხთან, თავის მოძმეებთან ძმურ შეერთების საჭიროებას.

დღევანდელი ბრძოლა აზრით, იდეით, ღრმა ფიქრთა და გრძნობათა ხალხში გავრცელებით არა თვალსაჩინო, უფრო ნელი, მაგრამ საბოლოოდ უფრო ძლევა მოსილი ბრძოლაა; იგი არა მცირე პოზიციების ხელში ჩაგდება, არამედ მტრის ბანაკის დაცლა-დაცარიელებაა.

პრაქტიკულ მაგალითისათვის მივმართოთ თუნდ ინგლისის ცხოვრებას, რომელიც მოწინავე ლამპრად თვალ-წინ უდგას კაცობრიობას. ის ბრძოლა, რომელიც დღეს ჩვენ თვალ-წინ გადაშლილია ინგლისის ცხოვრებაში ღრმა-საგულისხმიერო ბრძოლაა ახალ, სულიერ იარაღით. პირველად გაისმა ინგლისში ხმა, რომ მიწის მესაკუთრეთ უნდა ჩამოერთვათ გადასახადის საშუალებით რამდენიმე პროცენტი იმ მათგან არა-დამსახურებულ ზედ-მეტ ღირსებულებისა, რომელიც მთელი ხალხის ზრდა-განვითარებამ შესძინა მათ მიწის საკუთრებას. ხალხი გამრავლდა, ვაჭრობა-მრეწველობა და აღზრდა-განათლება უფრო ვრცელად მოეფინა ხალხს, ამ ყოველ-მხრივმა ზრდა-განვითარებამ აწია ნიადაგის, მიწის ფასი, რომლითაც მხოლოდ მიწის მესაკუთრენი სარგებლობენ. ეს ზედ-მეტი ფასი მიწისა ირგვლივ მთელმა საზოგადოებამ, მთელმა ხალხმა შექმნა და ამით მხოლოდ მიწის მესაკუთრენი გაამდიდრა. ამ აშკარა უსამართლობას ნათელ ჰყოფს დღევანდელი ბრძოლა ინგლისში, დედამიწაზე, საცხოვრებელ ნიადაგზე ხალხის უფლების დასამკვიდრებლად.

მართალია, დღეს სავსებით ვერა ვხედავთ ინგლისის ცხოვრებაში იმ იდეალის გამოხატულებას, რომელიც ჰენრი ჯორჯისა და ლევ ტოლსტოის წმიდათა-წმიდას წარმოადგენს, მაგრამ ამ იდეალის ნაწილობრივი განხორციელებაც ბევრ რამეს მოასწავებს. ის ერთი ბრჭყალია მიწის საკუთრებისა, რომელიც ხალხმა თუ ხელში ჩაიგდო, ბოლოს და ბოლოს სავსებით დაამხობს ამ საკუთრებას.

ყველა ეს კარგად ესმით მიწის მესაკუთრეებს და იმიტომ იბრძვიან ისინი ასე თავგამოდებით. მთელი ინგლისის ხალხი ფეხზე დააყენეს. მაგრამ ამაოდ. ვინც ჭეშმარიტებას ებრძვის იგი თვით ღმერთს ომს უცხადებს.

კაცობრიობის ისტორია—ჭეშმარიტების გამარჯვების მოთხრობაა. დღესაც ეს ჭეშმარიტება გაიმარჯვებს ინგლისის ცხოვრებაში და მთელ ქვეყანას მოეფინება, როგორც მოეფინა ამ ასი წლის წინად იმ დროს ხალხის ხელმისაწვდომი ჭეშმარიტება, რომლისთვისაც იმ დროს ხალხისათვის იბრძოდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

ილია ნაკაშიძე.

# საახალწლო გამოცანები

**ყბაღ ახალები—წყალ წახალები.**

(ვუძღვნი იმათ, ვინც თავიანთ თავს იცნობენ)

1.

ლ-ლ-ბუნების ყვავილი ხარ,
მით უმეტეს ქართულ ენის,
მაგრამ მართალს მოგახსენებ,
თამადობა უფრო გშვენის!

2.

ვინ მ: სთვალოს რა არა ჰქმნა?..
სად არ იყო, რა არ ნახა?
მაგრამ ვერვის ვერრა არგო,
მაინც ყველგან დარჩა გლახა!

3.

ხანა მწერლობს, ხან არტისტობს,
ხან მწყემსია, ხან მეურმე,
მაგრამ, ეს კი ჩვენში დარჩეს
რედაქტორიც არის თურმე!..

4.

ყველაფერში წინ მიილტვი,
უკან რჩები ცოდნით, სწავლით,
ჩემს მზეს ვფიცავ, ვერვის არგებ
ქუჩა-ქუჩა ~~ხეტიალით!~~ ...

5.

თითქოს ნემსი ჩაუყლაპავს
გძელი არის როგორც კეტი,
მაგრამ მწყრები... ნაწერები
ნიჩბითა აქვს მოსახვეტი!..

6

„პროჟექტორის" სურათი ვარ,
ხანა ვჩნდები, ხანა ვქრები,
სითაც ქარი მძლავრად ჰბერავს,
მეც იქითკენ გადვიხრები!

7.

შენს მეგობრებს პური არ აქვთ,
შენ კი მუდამ დაფართფაშობ
სხვის ბუკზე და ნაღარაზე
რად დახტიხარ? რად თამაშობ?..

8.

რომ არაფრის დარდი არ გაქვს,
აბა მითხარ, რისთვის? რათა?
ცა ქუდათ არ მიგაჩნია
დედამიწა ქალამნათა!...

9.

უყვარს რიხით ლაპარაკი,
სიტყვით აპობს ცის კამარას,
ბუტაფორის ხმალ-ხანჯლებით
ემუქრება დიდ-პატარას.
ყველას წუნს სდებს, სულ თვალთ-
ავიწყდება მომავალი, | მაქცობს,
„ბედკრულ ხალხსა" უფროსად ჰყავს
ვაი, ჩვენი ცოდვის ბრალი!..

**გრი—გრი.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშითა სააგენტოსაგან)

31 დეკემბერი.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** ეფრემის რაზმი, შემდგარი 200 ფიდაისა, 150 სპარსელ უახაზისა და 400 ბახტიარისაგან, იმ ყოფება აგარაში; მას გარს არტყიან რახიმ-ხანის უარადდელი ცხენოსნები. მათ შორის თითქმის ყოველ დღე ხდება შეტაკება. უკანასკნელ შეტაკების დროს ეფრემის რაზმს მოუკლეს და დაჭრეს 20 კაცი და 30 ცხენი და სუმბუქად დაუჭრეს ტყვიის-მტყორცნელების ინსტრუქტორი გერმანელი ვაზე. რა ზარალი მოუვიდა რახიმ-ხანს, არ იციან.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** სულთანმა ხაკი-ბეი დაამტკიცა დიდ ვეზირად. ოფიციალურად გამოაცხადეს ახალ სამინისტროს წევრთა სია: დიდი ვეზირი—ხაკი-ბეი, სამხედრო მინისტრი—მახმუდ-შევკეთ-ფაშა, ხალილი—საზღვაო, ემრულა—სახალხო განათლებისა, მავროკორდატო—სამთო უწყებისა, რიფაატ-ფაშა—გარეშე საქმეთა, ტალაატი—შინაგან საქმეთა, ჯავიდი ფინანსთა, სომეხი ხალაჯიანი—გზათა მინისტრი, ნემეჯიბი—იუსტიციისა, ჰუსეინ გუზნი—შეიხ-ულ-ისლამი, ალი-ხაიდარი—საეკლესიო მამულების მინისტრი, ხაკი-ბეის მიულოცეს უცხოეთის სელჩოებმა; მას ფაშობა უბოძა სულთანმა.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** ქალ. კრაკოვში დაიწყო იანინა ბოროვსკაიას საქმის გარჩევა. მას ჰბრალდება თავის დამცველ ნაფიც-ვექილის დეგეცკის მოკვლა იმ აზრით, რომ მოესპო საბუთები, რომლებიც სახელს უტეხდნენ მას.

**ნეაპოლი.** რუსეთის კრეისერთა რაზმი ტულონში წავიდა.

**ბერლინი.** გერმანელ დრამატურგთა კავშირმა სთხოვა გარეშე საქმეთა სამინისტროს, მოლაპარაკება გამართოს, რომ გერმანიას და რუსეთს შორის სალიტერატურო კონვენცია დაიდვას.

**რომი.** იტალიის ელჩი, რომელიც ვაშინგტონში იყო ელჩად, დაინიშნა ელჩად სტამბოლში; სომალის გუბერნატორი კარლ ტიდე დაინიშნა ელჩად თეირანში.

### რ უ ს ე თ ი

**ვილნა.** იწვის დივშიგის პრობკის ქარხანა და ლიბოს კაფელის ქარხანა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მადლობა გამოეცხადა სტეპნოი გენერალ-გუბერნატორს შმიტს შ ვის-ჭირის წინააღმდეგ მხნე ბრძოლისთვის და გენერალ დუმბაძეს იმ მშვენიერ წესისთვის, რომელიც მან დაამყარა იალტასა და მის მიდამოებში მათ უდიდებულესობათა დივადიაში ყოფნის დროს.

**ასტარხანი.** აზნალიკში შავი ჭირით ავად ადარავინ გამხდარა.

**ეკატერინოსლავი.** უკანასკნელ კვირაში 7 კაცი გახდა ავად.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ქარხნების შესახებ.** როგორც ვიცით, მილიონერმა ალ. მანთაშევმა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს თავისი ქარხნები ბათუმიდან გადაიტანა ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში. ამ ქარხნების გაუქმების შემდეგ ბევრი მუშა დარჩა უადგილოდ. ხმა დადის, ალექსანდრიაში მანთაშევს დიდი ზარალი აქვს თურმე. თუმცა იქაური მუშები ნაკლებ ფასებში მუშაობენ, მაგრამ ქარხანას ამით არაფერი ემატება, რადგან მუშები დახელოვნებულნი არ არიან. ამ მიზეზისა გამო, როგორც ამბობენ, მანთაშევს განუზრახავს ქარხნებს ისევ ბათუმში გადმოიტანს.

✦ **შეტაკება ხაშურში.** როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ იქ 27 დეკემბერს საღამოთი სტრაჟნიკებსა და ორ უცნობს შეტაკება მოსვლიათ. უცნობები ეტლით მინავლებულან და შექეიფიანებულნი, მღეროდნენ თურმე, სტრაჟნიკებს შენიშვნა მიუციათ, ქუჩაში სიმღერა არ შეიძლებაო. პასუხად უცნობებს სტრაჟნიკებისთვის რევოლვერები უსროლიათ. ატეხილა სროლა, რომლის დროსაც დაჭრილა ორი სტრაჟნიკი, ხოლო ერთი უცნობი მოუკლავთ. მეორე მიმალულა.

✦ **ჯარიმა.** როგორც ვწერდით, სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარის დაჯარიმების გამო, უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, განე საჩივრებინა გუბერნატორის განკარგულება კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან. გამგეობამ თავის დადგენილება სისრულეში მოიყვანა, მაგრამ საჩივარი უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ამ რიგად ბ-ნ რცხილაძეს უნდა გადახდეს 25 მან.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოება.** 8 იანვარს მოხდება კავკასიის ქალთა საზოგადოების წევრთა კრება. წაიკითხავენ მოხსენებებს: ოგანეზოვის ქალი—„ქალების საერთო საცხოვრებელი სახლი. ქალების კლუბი ინგლისში". ჩორნაიას ქალი: „გეგმა მუშა ქალების კლუბისა" ამ კლუბის დაარსებას ტფილისში აპირებს ხსენებული საზოგადოება. ამავე დღეს მიიღებენ ახალ წევრებს. კრება დაიწყება საღამოს 7 საათზე, ბარონის ქუჩაზე № 25, მელიქ ბახტამინის სკოლაში.

✦ **საზოგადოება „კოლხიდა".** „ტფ. ლისტ." სიტყვით, ქუთაისში „კოლხიდის" საზოგადოებასთან არსდება აბრეშუმის დასართავი და სახვევი სახელოსნო.

✦ **პასუხის-გება.** ტფ. საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით, პასუხს გებაში იქმნენ მიცემულნი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის„ სისკნი" განყოფილების უბნის ზედამხედველი ბაბახანოვი და მე-8 საპოლიციო ნაწილის ბოქაულის თანაშემწეობის აღმასრულებელი ოკონოვი.

✦ **რა თანამდებობას ასრულებენ.** გუშინ, 31 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო მოწერილობა გუბერნატორის კანცელარიისა. კანცელარია, გუბერნატორის განკარგულებით, გამგეობას სთხოვს, შეატყობინოს ქალაქის დაწესებულებებში მყოფი 42 მოსამსახურე-მოხელე რა თანამდებობას ასრულებს. 42 კაცს შორის გუბერნატორის კანცელარია კითხულობს, რა თანამდებობას ასრულებენ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ალ. ი. ხატისოვი, თავ. ალ. გ. არგუთინსკი, ექიმი ისტამანოვი და სხვანი.

✦ **ბრძანება.** ტფ. პოლიც. მესტერმა მოაგონა პოლიციელებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ მგზავრები უსათუოდ წინდაწინვე აძლევდნენ მეეტლეებს ფულს. თუ ვინიცობაა, სწერს პოლიცმეისტერი, შენიშნოთ ისეთი მგზავრი, რომელსაც წინდაწინვე ფული არ ექნება გადახდილი, ოქმები შეუდგინეთო.

✦ **„აი ისტორია".** რედაქციამ მიიღო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის „აი ისტორია?" წიგნი, როგორც ყველა სხვა გამოცემა, კარგად არის დაბეჭდილი და ღირს 35 კაპეიკად.

✦ **საზოგადოება „სანთური".** ამ რამდენიმე ხნის წინად ქართულ გალობა-სიმღერის მოყვარეებმა გუბერნატორს წარუდგინეს „სანთურის" საზოგადოების წესდება. გუბერნატორს უკან დაუბრუნებია წესდება ზოგიერთი მუხლის შესაცვლელად.

✦ **„საქართველოს მოამბე".** დღეს გამოვა საახალწლო ნომერი ყოველ-კვირეულ ჟურნალი „საქართველოს მოამბისა" შემდეგის შინაარსით:

„ახალი წელი"—ალაროდიელისა; „ჩემო კეთილო!"—ი. გრიშაშვილისა; „მოპასანი და მისი ცხოვრება"—მ. ად—ლისა; „ახალი წელი" ლექსი—ნინო ორბელიანისა; „ამოცანა" — ვაჟა-ფშაველასი; „ახალი წელიწადი საინგილოში"—ზ. ედილისა; $*_*$—ლექსი მარ. ბარათაშვილისა; „ქართლის ვითარება"—ივ. ციციშვილისა: „ლაურა"—შ. ამირეჯიბისა; „რედაქტორის ხრიკი"—ილ. ელეფთერიძისა.

✦ **„თეატრი და ცხოვრება".** დღეს გამოვა ახალი კვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". შინაარსი:

„1 იანვარი 1910 წ."; „ვაშა ახალ სხვივს"—ი. გრიშაშვილისა; „ლ. ანდრეევი"—ი. გომართელისა; „შენ მეძახოდი"—ა. შანშიაშვილისა; „ყოფნა არ ყოფნა!?"—ექიმ შტოკმანისა; „მსახიობ ქალს", —ლექსი გ. ტაბიძისა; „დრამის ისტორია"—ნარვილისა; ლექსი ი. მჭედლიშვილისა; „დღესასწაული",—დრამატიული სურათი დ. ნახუცრიშვილისა; „სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება"—ლევ. მეტრეველისა; „ჩვენი მსახიობი",—მოთხრობა ს. გლახაშვილისა; „ფილოსოფიური ლექცია",—ბიჭი-ბიჭისა; „ქართულ თეატრის ისტორიიდან",—დ. ნ—სა; „საახალწლო?!"—სურათები: პირველი ქართ. დრამ. დასი; ანდრეევი; დ. ნახუცრიშვილი; კარიკატურა „ჩვენებური საქმიანობა".

✦ **მოლაპარაკება.** ვაკის მცხოვრებლებს განზრახული აქვთ შეისყიდონ ავჭალის ქუჩის ტრამვაის ინვენტარი. როგორც ვიცით, წლეულს ავჭალის ქუჩაზე ელექტრონის ტრამვაი უნდა გაიყვანონ და, ამ რიგად, ცხენისა გაუქმდება. ვაკელებს აზრადა აქვთ, გაიყვანონ ცხენის ტრამვაი მართლმადიდებელ სემინარიამდე მათ უკვე მოლაპარაკება გაუმართავთ უსახელო საზოგადოებასთან.

✦ **შუამდგომლობის არ შეწყნარება.** უმაღლესს მთავრობას არ შეუწყნარებია კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის შუამდგომლობა, რომ გენერალ ყაზბეგს ორი წლის განმავლობაში ფული მიეცეს სოფ. ყაზბეგში მის მიერ დაარსებულ სახელოსნოს ინსტრუქტორის შესანახად.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 3 იანვარს, სახალხო სახლში ბ-ნი სიდოროვი წაიკითხავს ლექციას კოლცოვზე. ლექციის შემდეგ სიმღერები და დეკლამაცია იქნება. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვილიამსის, კოშელევა და ბ-ნნი ბუნიმოვიჩი, სარმატოვი, ჩაროვი და კაევა.

✦ პოლიციას გაუგია, რომ 7 ნოემბერს წყნეთის ქუჩაზე მაკარ გარშენინის მოკვლაში მონაწილეობას იღებდა ვინმე ვანო მეტსახელად „ვარშაველი კაცი" შესდგომიან ამ უცნობის ძებნას და 30 დეკამბერს კიდეც დააპატიმრეს იგი, რომელიც აღმოჩნდა ტფ. მოქალაქე ივანე იაკულოვი, ზეინკალი.

✦ კვირას, 3 იანვარს, საღამოთი ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია სხდომა ახალ კლუბის საბჭოსი, რომელსაც განსახილველი აქვს რამდენიმე მიმდინარე საქმე.

✦ 29 დეკემბერს ტფილისში დააპატიმრეს თ. ლუკიანოვი, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით გამოქცეულა და აქ ტფილისში იმალებოდა თურმე.

✦ აქამდე სავალდებულო დადგენილებების უქონლობისა გამო ქალაქის ზოგიერთ ადგილში აგურისათვის მიწის გაჭრა ისე უწესოდ სწარმოებს და, ადგილები ისე სახიფრდება, რომ შემდეგში შეუძლებელი ხდება ადგილების დაგეგმვა და ქუჩების გაყვანა, თუ სახლების აშენება. რომ ბოლო მოეღოს ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას, ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილებანი საგურხანე ადგილების სარგებლობის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქალაქის საბჭოს.

✦ რედაქციამ მიიღო „საოჯახო და სამგზავრო უბის კალენდარი 1910 წლისა, შედგენილი კ. დ. გულიაშვილის მიერ. ფასი 13 კაპ.

---

**შეცდომის გასწორება.** გაზეთის მე-291 ნომრის ახალ ამბებში „შემოწირულება"-ში შემდეგი კორექტურული შეცდომაა: დაბეჭდილია „პოემა ალდუზიან"-ი უნდა იყოს „პოემა ალდუზიანი" გაზეთის № მე-290 ნომერში „თეატრი და ხელოვნება"-ში სწერია: „ქართლში დამსახურებულმა სცენის მოღვაწემ გამოიყვანა იუბილიარი" უნდა იყოს: ქართლში დამსახურებულმა სცენის მოღვაწემ ზაალ მაჩაბელმა გამოიყვანა იუბილიარი". ცოტა ქვევით სწერია: „გ. ონიაშვილმა ახალგაზრდა დოტბარის" უნდა იყოს: „გ. ონიაშვილი ახალგაზრდა დოტბარია და სხვა.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **შობის ხე.** 27 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში პირველ დაწყებით საქალაქო სკოლების მოწაფეებს გაუმართეს შობის ხე ბუნდოვანის სურათებითა და სალიტერატურო-სასიმღერო განყოფილებით. პაწია მოწაფეების მიერ მოხდენილად წაკითხულმა ლექსებმა და მათმა ცეკვა-სიმღერამ დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. მოწაფეების აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. საჩუქრად ბავშვებს დაურიგეს ტკბილეულობა სასურველია, რომ ასეთ შობის ხეს ყოველ წელს უმართავდნენ ქალაქის სკოლების ღარიბ მოწაფეებს, რომელნიც ამგვარ სასარგებლო, ზნეობისა და გონების აღმზრდელ გასართობებს სრულიად მოკლებულნი არიან.

✦ **დახმარება ღარიბებს.** შობის წინ ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოების კომიტეტმა დაურიგა ქალაქის ღარიბებს 300 მანეთი.

✦ **შენობა.** ქალთა გიმნაზიის (მთავრობის) სამზრუნველო კომიტეტმა სთხოვა საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტს, აცნობოს, რა პირობით შეიძლება მიჰყიდონ გიმნაზიას საკუთარ შენობის ასაგებად თავისი ადგილი, მდებარე ინჟინრის ქუჩაზე.

# თეატრი და ხელოვნება

**სადღესასწაულო წარმოდგენა.** შაბათს, 2 იანვარს, ქართულ თეატრის დაარსების 45 წლისთავის აღსანიშნავად, წარმოდგენილი იქნება მ. დადიანის 1 მოქ. პიესა „როს ნადიმობდნენ" და ივ. გომართელის „ექიმთან". შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება ივ. სარაჯიშვილისა და ა. ადამიძის მონაწილეობით. დასასრულ აპოთეოზი ქართულ თეატრის დამაარსებელთა პატივსაცემლად.

---

**ქუთაისი.** ამ დღეებში ქუთაისში მოელიან ჩვენ ნიჭიერ მსახიობს ალექსი-მესხიშვილს, რომელიც ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მიუწვევია თავის დასში.

# ოსმალეთი

**ხილმი-ფაშის დიდ ვეზირობიდან გადადგომის გამო.**

როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, ხილმი-ფაშის გადადგომის ნამდვილი მიზეზი შემდეგი ყოფილა.

ასე ორი თვის წინად სომხის პატრიარქი ტურიანი ადანის საქმეების გამო თანამდებობიდან გადადგა. სახელოვან პატრიარქის გადადგომამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება სომხებში. სომხებს და მუსულმანებს უსიამოვნება მოსდიოდათ ერთმანეთთან. დიდმა ვეზირმა ხილმი-ფაშამ იმ აზრით, რომ ქრისტიანთა და მუსულმანთა შორის აყალ-მაყალა არ დაწყებულიყო, დანიშნა კომისია ადანის საველე სასამართლოს მოქმედების გამოსაკვლევად და გასაგებად, თუ რამდენად სამართლიანია ამ სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალით 9 სომეხი და 12 მუსულმანი სიკვდილით უნდა დასჯილიყო ადანაში მომხდარ უწესოების მონაწილეობის მიღებისთვის.

კომისიამ ჰპოვა, რომ ხსენებულ სომხებს ისეთი დანაშაული არ ჩაუდენიათ, რომ სიკვდილის დასჯის ღირსნი იყვნენო და ამიტომ გააუქმა ეს განაჩენი სომხების შესახებ. ხოლო ხსენებული 12 მუსულმანი მაინც დაისაჯნენ სიკვდილით.

ახალგაზდა ოსმალთა პარტიის წარმომადგენლებმა დეპუტატთა პალატაში, თავიანთ კომიტეტის მონდობილობით, უკმაყოფილება გამოუცხადა ხილმი-ფაშას მუსულმანთა სიკვდილით დასჯის გამო. ზოგიერთი დეპუტატი ამის თაობაზე შეკითხვასაც აპირებდა, მაგრამ „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტმა დაუშალა შეკითხვა, რადგან ეშინოდა, რომ ეს შეკითხვა გამოიწვევდა დიდ განხეთქილებას ქრისტიანთა და მუსულმანთა შორისო.

ხილმი-ფაშამ იცოდა რა, რომ თუ იგი დიდ ვეზირად დარჩებოდა, მაინც შესაძლებელი იყო ამნაირ შეკითხვის შეტანა, თითონვე გადასწყვიტა თანამდებობიდან გადამდგარიყო ვითომდა ავადმყოფობის გამო.

ახალგაზდა ოსმალთა წრეები ამბობენ, რომ ხილმი-ფაშა ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი მამულიშვილიო.

ჰფიქრობენ, რომ ხილმი-ფაშა მომავალში ისევ მიიღებს დიდ ვეზირობასო. ჯერ-ჯერობით-კი იგი, როგორც ამბობენ, დაინიშნება ელჩად პარიზში.

# რუსეთი

✦ **რედაქტორის დაპატიმრება.** ოდესაში დაუპატიმრებიათ გაზეთ „გოლოს ოდესის" რედაქტორი რუტერი, რუტერს თავის გაზეთში გამოუცხადებია, რაც გაზეთის წვრილი ვაჭრობიდან შემოვა დარიბ სტუდენტებს შევწირავო. ადმინისტრაციას ამაში „კრამოლა" დაუნახავს, რუტერი დაუპატიმრებიათ და ფულისთვის კონ ფისკაცია უქნიათ.

✦ **ინჟენერი გილევიჩი.** მკითხველს ეხსომება ინჟენერ გილევიჩის ისტორია. გილევიჩმა პეტერბურგში სტუდენტი პოდლუცკი მოჰკლა, რომ დამზღვევ საზოგადოებიდან 100,000 მანეთი გამოეტანა. გილევიჩი პარიზში დააპატიმრეს, რის შემდეგ თავი მოიკლა. როგორც ეხლა გამოირკვა გილევიჩს ამავე მიზნით განუზრახავს პარიზში ერთ მდიდარ ფრანგის მოკვლა. ამ საქმის გამოსაძიებლად პარიზში წასულა პეტერბურგის საიდუმლო პოლიციის უფროსი კუნცევიჩი.

✦ **საერო განათლების მინისტრი.** „ბაკუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, პეტერბურგში დაჟინებით ლაპარაკობენ სამინისტროდან გავა საერო განათლების მინისტრი შვარცი. მის მოადგილედ ასახელებენ სინოდის ობერ-პროკურორს ლუკიანოვს.

✦ **პეტროვის წარსული.** პეტროვმა პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსი კარპოვი მოჰკლა. იგი დამცველ პოლიციაში მსახურებდა და აი სწორედ ამით ისარგებლა და კარპოვი მოჰკლა. როგორც ვწერდით, პეტროვმა დასტოვა მემუარები. ეს მემუარები პარიზში გამოუქვეყნებიათ. ამ მემუარებიდან სჩანს, პეტროვი პირველად დაუპატიმრებიათ სარატოვში, მას ფილატოვის პასპორტი ჰქონია. ჩვენების ჩამორთმევის დროს პეტროვს უარი განუცხადებია, ვერაფერს ვიტყვი ჩემ ვინაობაზედ. პოლიციას იგი პეტროვი ისანენკოდ მიუღია. ისანენკო ყოფილი აფიცერია, გაგზავნილი იყო კატორღაში. პეტროვს ისანენკოს სახელით დამცველ პოლიციისთვის წინადადება მიუცია, აგენტობას ვკისრულობ. გერასიმოვს ეჭვი შეჰპარვია მის გულწრფელობაში, დაუდვია ბორკილები და მისი ვინაობის გამოსარკვევად სევასტოპოლში გაუგზავნია. გზაში პეტროვს თავი ჭკუაზედ შეშლილად მოუჩვენებია და იგი საავადმყოფოში მოუთავსებიათ. საავადმყოფოდან პეტროვი გაქცეულა და ხელმეორედ მიუმართავს გერასიმოვისთვის, აგენტობას ვიკისრებო. გერასიმოვს პეტროვი დაუახლოვებია და შემდეგ კარპოვისთვისაც ურჩევია პეტროვის დაახლოვება. უკვე ვიცით, რითი გათავდა პეტროვის კარპოვთან დაახლოვება.

# განცხადებანი


**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—246)

---

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—32)

---

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

---

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

● **განდეგილი** ●

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ, და ხელის მომწერლებისათვის

**ღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.**

ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით

**გაუმჯობესებული იქნება**

ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—6)

---

**იაფი შემოწმებული საათი**

შეიძლება იყიდოთ მხოლოდ

**ა. გოლდ-შტეინთან**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ვერცხლის** და **ოქროს** ნივთები სულ იაფად. (10—ხალ.—4)



---

**160—200 საჟ.**

მსურს შევიძინო. ქართულ გიმნაზიის ახლო. ადრესი. ანანურის ქ. (დუშეთის ქ.) № 3. (3—805—1)

1910 წელს კვლავ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი 1910 წელს

## „ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. «ნ ა კ ა დ უ ლ ი ს» რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურ ების ქარვასლაში).

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მ ი ე ც ე მ ა პ რ ე მ ი ა დ ს ა ბ ა ვ შ ვ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. „დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი"—ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები"—ზღაპარი ევალდისა; 3 „თერმეტი და"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

რედაქტორი: **მარიამ ივანეს ასული დემურია** გამომცემელი: **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

(6—5)

---

1910 წლის 1 იანვრიდან

**გამოვა ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი**

## თეატრი და ცხოვრება

**იუმორისტიულ განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-განხილვა. თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დაიბეჭდება თეატრის შესახები წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები და სხ.

**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ**: შ. ადამაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნია, პ. დადვაძე, შ. დადიანი, ვ. აბაშიძე, დუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, მ. თოიძე (მხატვარი), გ. თუმანიშვილი, ირეთელი, კ. მესხი, ლ. მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ი. ნაკაშიძე, დ. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ა. ყიფიანი, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, ო. შმერლინგი (მხატვარი) და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვარნი. კლიშეები მზადდება ქართველთა ამხ. **ცინკოგრაფიაში.**

წლიურად გაგზავნით დამატებებით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან; ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драм. О-ва, Іос. Имедашвили. (4—4)

---

სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

◀ **წელიწადი მეორე** ▶

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ სათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „МОСАВАЛИ".

---

კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი"

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

**იანვრიდან** გამოვა თვეში ერთხელ თვიური ჟურნალის სახით.

„ფასკუნჯში" დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

◀ **ს უ რ ა თ ე ბ ი** ▶

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნაშთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, სასუქრად მიეცემა.

◀ **შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს** ▶

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯში" მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, მ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ მალაქიაშვილი, ნ. ლომოური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე. ა. სარაჯიშვილი. სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ჩაჩანაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ტ. შევარდენაძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის" სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან , მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპანის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани".

(6—6) რედაქტორ-გამომცემელი **ს. ფირცხალავა.**

---

დაიბეჭდა და 1 იანვარს დაურიგდება ხელის-მომწერლებს სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

## „განათლება"

იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. რედაქციისაგან; 2. „სხვათა მორის", ვაჟა-ფშაველასი; 3. დიმარი—«ბავშვის პირველი გაკვეთილები»; 4. „გლოვა", ლექსი აკაკისა; 5. „ჩემი პირველი აღელვება", მოთხრობა მარ. ჩელიგისა; 6. „სულა და ოქროთები", სპარსული ლეგენდა ბაჩანასი: 7. «პედაგოგიის ისტორია», ვეიმერისა (გერმანულიდან), ნ. ლორთქიფანიძისა; 8. „სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის": 9. ლ. ტოლსტოი—«რელიგიოზური აღზრდის გამო» (წერილი ამერიკელთან); 10. „შინაური მიმოხილვა", ფარისა; 11. „ცნობები საყოველთაო სწავლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში"; 12. „ერობის მოღვაწეობა რუსეთში"; 13. „სახალხო განათლება მოწყობა და მართვა-გამგეობა ეცნოეთში"; 14. «ბავშვების საზოგადოება ამერიკაში»; 15. „სკოლის გამოცდილებიდან"; 16. „მეცნიერება და აღზრდა", (პირველი წერილი) მქ. ვ. ღ—ძისა; 17. წერილები დაბა ხოფლებიდან; 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 19. სამეცნიერო მიმოხილვა; 20. განცხადებები.

ჟურნალი წლიურად ღირს სამი მან., ნახევარი წლით ორი მან. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ორ მანეთად.**

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში.

ადრესი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.

(3—2) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

---

**13 დეკემბრიდან ტფილისში გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი**

## ● ს ხ ი ვ ი ●

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები [როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), ლექსები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, ახოსპირელი, გალა, იასამანი, ირეთელი, ლალიონი, ლეო, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ნიკოლაიშვილი, რაყდენიძე, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი და სხვანი. პირველ ნომრიდან იბეჭდება **ივ. გომართელის** კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერ ტურაზე.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით—5 მ., ნახევარი წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ. ცალკე ნომერი—10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და იანვრის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პრემიად მიეცემა

◀ **სტეპნიაკის მოთხ. „სახლი ვოლგის ნაპირზე".** ▶

წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოდ გაეგზავნება. ჟურნალის გამოწერა შეიძლება ტფილისში: გაზ. „მომავალი"-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში" ვ. გადილიასთან, კიროჩნი ქუჩა N 9; სტამბა „პეჩატნოე დელო"-ში, ველიამინოვის ქუჩა N 6 პ. კალაძესთან, და „გუტენბერგის" სტამბაში ოლგისა და ხლებნოვის ქუჩის შესახვევში N 1, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე დ:**

ქუთაისში: წიგნის მაღ. «იმერეთში», ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის მკ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში—მასწ. ვ. ხურციძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ხიდისთავში—მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიქაბულში—ვ. ყიფიანთან და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დრებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ типографія „Печатное Дѣло", Вельяминовская N 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе. (5—3)

---

აცეტილინის ფარანი



## ● ახალი ტიპისა ●

საუკეთესო მასალიდან გამადიდებელ შუშით და ალიუმინის რეფლექტორით, რომელიც დიდ სინათლეს აძლევდა, 60 ნაბიჯზე ანათებს, საჭიროა ზ-ნთ აფიცრებისა, მონადირეებისა და ტურისტებისთვის.

**აუარებელია ხმარებაში.** ასეთივე სისტემა ველოსიპედებისათვის. ფასი 5 მან. კალჩცა, კარბილი მისთვის ასეთივე თვისებისა 30 კაპ. გირვანქა. იყიდება მხოლოდ კ. კ. ნობილევთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (2—ხალ.—2)

---

**მ თ ა ვ ა რ ი მ ო გ ე ბ ა:**

◀ **75 000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000** და სხვა ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა** პირდაპირ კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები.

ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცნრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება მიეცემა დაუყონებლივ ბილეთის წარდგენისათანავე.

ახალ დამკვეთავთ მეუძლიანთ ფულის ნაცვლად გაგზავნონ ბილეთები, რომლითაც წარსულ ნახევარ წელს მოგება ხვდათ.

**ერთ-ერთ ოთხ პირველ კლასში მონაწილეობის მისაღები ფასები:**

(შემდეგ კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)

ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით, მთელი ბილეთი 8 მ., ნახ. ბილ. 4 მ., მეოთხედი ბილეთისა 2 მ. ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ 1 ან 2 კლასისა (26 და 27 იანვარს ან 24 და 25 თებ. 1910 წ. მთელიან 4/4 ბილ. 10 მ., ნახ. ბილ. 5 მ. 1/4 ბილ. 2 მ 50 კ. 1/10 ათ მთელ ბილეთისა 10 მ., 1/20 ათ მთელ ბილ. 5 მ. ყველა ხუთ კლასის პაი: 1/5 ნაწ, ბილ. 19 მ, 60 კ. 1/12 ნაწ. ბილ. 10 მ., 1/2 ნაწ. ბილ. 5 მ.

შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილად გაგზავნა: ნახევარი შეკვეთის დროს, ნახევარიც აპრილში.

საბანკირო სახლი Варшава, Братская 18. **ლ. ვ. ლანდაუ** და კ-ო, ადრესი დეპეშებისთვის «Варшав, Ландаубанкъ".

Д. и Э. Метцль и К-о. Варшава № 80.082. (2—2)

---

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე



## მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება

## ☛ ახალი კრებული ☚

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი ბლიკვაძე, ანჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზამლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქურიშვილი, შხანკოლა** და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе. (10—6.—10)

---

**ვერის სახალხო აუდიტორია**

შაბათს, 2 იანვარს, გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ქართულ თეატრის დაარსების აღსანიშნავად

I

**ქართულ თეატრის ისტორიას**

წაიკითხავს გ. ლეჩხუმელი.

II

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება მეოთხე მოქმედება გ. ერისთავის პიესის

✦ „დ ა ვ ა"-სი ✦

III

● „ა დ ვ ო კ ა ტ თ ა ნ" ●

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

**ადგილების ფასი 5 კ. 25 კ.**

---

**„სორაპანის" ამხ. გამოცემა**

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად**

## ნ. ბარათაშვილის სრული ლექსთა კრებული

**ბიოგრაფიულის ცნობებით.**

ფასი 10 კაპ.

(5—6.—1)

---

**კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ-გლეხთა ამხანაგობა**

## „კახეთი"

(ტფილისი, მუხრანის ქუჩა).

იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | |
|---|---|---|
| № 1. ბოთლი | 20 | კაპ. |
| № 2. „ | 25 | „ |
| № 3. „ | 35 | „ |
| № 4. „ | 50 | „ |
| ვედრო (16 ბოთლიანი) | 3 მან. | „ |
| „ | 3—60 | „ |
| „ | 5—10 | „ |
| „ | 7— 5 | „ |

ვინც 10 ბოთლზე მეტს დაიკვეთავს, იმას ვუგზავნით ჩვენის საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ ტფილისში.

ა დ რ ე ს ი: Тифлисъ, Мухранская ул. Михаилу Николаевичу Кодалову. (100—16)

---

## გლეხი-კაცის ისტორია

◀ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე** ▶

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—19)

---

## Открыта подписка на 1909/10 годъ

НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

## НА КАВКАЗѢ

Ежемѣсячный журналъ исторіи, этнографіи и общественно экономической жизни Кавказскаго края; литературы, публицистики, науки и искусства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА за 12 кн. **5 РУБЛ** отъ 6 до 10 лист. каждая за 6 книгъ—3 руб. за 3 книги—1 р. 50 к.

**ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ ФАКТИЧЕСКОЕ УЧАСТІЕ:**

Петръ Авдѣенко, д-ръ полит. наукъ Вл. Ахметеловъ, С. И. Борчевскій, проф. С. А. Венгеровъ, Д. Ведребисели, Б. М. Городецкій, М. Джанашвили, П. А. Зажаевъ, Е С. Канчеръ М П. Кожушко, Петръ Кузько, А. И. Литовкинъ, Г. М. Малышенко, Лук. Мельниковъ, проф. Всев. Ѳ. Миллеръ, П. В. Мироновъ, Нусэ, И. Ѳ. Цальмовъ, А. С. Пираловъ, Ник. Попрковъ, Н. А. Преображенскій, Г. А. Робинсонъ, А. Родной (Коростылевъ), А. М. Розовъ, Н. М. Рындинъ. П. А. Скачковъ. В В. Скидалъ, А. Т. Снарскій, Султанъ-Довлетъ-Гирей, Е. М. Тумановъ, С. Тимофеевъ. проф. М. И. Туганъ-Барановскій, проф. А. С Хахановъ, Г. М Цаголовъ, Ф А Щербина, С П. Эйрановъ и др

Вышли 5 №№ журнала и продаются во всѣхъ книжныхъ магазинахъ Тифлиса, Баку, Елисаветополя, Кутаиса, Эривани и др

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ г. Екатеринодарѣ: въ конторѣ редакціи—Соборная, 50, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хидекель, Центр. Книж торговлѣ и др ; во Владикавказѣ, Баку, Кутаисѣ и Ставрополѣ во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Петербургѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ; въ Москвѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М О. Вольфъ (6—5)

---

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

## I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ I მანეთიდან

## ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერ. ის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაჟ.—17)

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

---

## პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р. Ф. Т. П. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

## ამხანაგობა

**რ ი გ ა შ ი**

სათვპრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალოგით:** ●

**ლინოლეუმი**, აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი.

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

## ◀ ა ხ ა ლ ი რ ა მ: ▶

„**ს ა უ კ უ ნ ო**" **ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლ ი ნ კ რ უ ს ტ ა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საცხოვრებელ თვალისთვის დასაუკეთესო კონომიისთვის.